

ନୟନ୍ତର

୩୩/୮୯

ପଦକଳ୍ପନା

ଗଣ୍ୟବେଳୁ

/୧/

୩୩/୮୯

ସେବନୀକାଳୀ

ତାରିଖ ମାର୍ଚ୍ଚ ୧୦

ଅମ୍ବ. ପାଲାନ୍ତରଦେଶ.

୨୦୨୬୦୩୮୮

ତଥିଲିଲି

ପ୍ରକାଶିତ ବିଲି

ସମ୍ବନ୍ଧିତ ଜ. ତାତ୍ତ୍ଵାନ୍ତରପାଲାନ୍ତର
ବିଭାଗ କ୍ଷ. ୧୯୦୬ କ୍ଷ. ୧୯୦୬

୧୦୨୬୦୩୮୮

ବିଭାଗ କ୍ଷ. ୧୯୦୬

ବିଭାଗ କ୍ଷ. ୧୯୦୬

ବିଭାଗ କ୍ଷ. ୧୯୦୬

Доз. ценз. Тифлисъ, 15 февраля 1906 год.

КУТАНСКАЯ
ГОРОДСКАЯ
БИБЛИОТЕКА
отд. № I №

ჩვენგან ძლიერ შორს, ხმელთა შეუ ზღვის პირათ,
მდებარეობს მშვენიერი ქვეყანა იტალია. ამ ქვეყნის
ერთ ნაწილს შეადგენს კუნძული სიცილია, რომე-
ლიც სივრცით ზოგიერთ ჩვენ გუბერნიებზე ნაკლები
იქნება. როგორც იტალიაში ისე ამ კუნძულზე ისე-
თი ჰავაა, რომ აქაურ მცხოვრებლებს თითქმის წა-
რმოდგენაც არა აქვთ რა არის ზამთარი. თოვლი
და ყინვა მათ თავის დღეში არ უნახავთ. იქ მუ-
სამ თბილია, იქ მუდამ ზაფხულია. მთელი ქვე-
ყანა სხვა და სხვა ყვავილებით აჭრელებული ერთ ვე-
ბერთელა ბალს წარმოადგენს. იქ ტყეში თავისუ-
ფლათ ხარობს ისეთი ხეები, რომლებიც ჩვენში იშვი-
ათ მოიპოვდა. მთები და ჰალები იქ დაფენილია
ვენახებით, ფორთოხლის ხეებით და სხვა მრავალ
ხეხილებით. სიცილეელების ჭმთავრება სახსარს ცხო-
ვრებისას შეადგენს ღვინით და სხვა და სხვა ხილე-
ულობით ვაჭრობა. აქედან ბლომათ გააქვთ საზღვარ
გარეთ ღვინოები და ხილეულობა. მართალია კუნძუ-
ლზე ზოგიერთ ადგილას მიწის მუშაობასაც მისდევენ,
მარა იმდენათ კი არა. ყანებს იქ ძირათ შეხვდება

კაცი, თითქმის მთელი კუნძული ვენახებით და ბალე-
ითაა დაფენილი.

თუმცა სიცილია თავის აღგილ-მდებარეობით
ნამდვილ წალკოტს წარმოადგენს, ბუნებისაგან უხვათ
დაჯილდოვებულია, მარა აქაური გლეხებია, როგორც
საზოგადოთ ყველგან, სილარიბეში სულს ლევს.
ამის მიზეზი კი, სხვა მრავალ მიზეზებს გარდა, მიწის
სივიწროვეა. ამ შშვენიერ, ზღაპრულ ქვეყანაში
მხოლოდ ისინი ცხოვრობენ ფუფუნებით და განცხრ-
ომით, რომლებსაც მთელი მიწა-წყალი ხელში ჩაუ-
გდიათ და გლეხების ოფლით და სისხლით მონა-
გარით ძლებიან, ე. ი. მემამულეები. აქაური
გლეხებია სრულიად ბოგანოა. მათ თითქმის ერთი
ნაკერი მიწაც არ გააჩნიათ. მთელი მიწა-წყალი მემა-
მულეების საკუთრებას შეადგენს. მაგალითათ დჯე-
ნოვეზეს ოლქში გლეხების სამ დესიატინა *) ში-
წაზე მემამულეს 97 დესიატინა მოდის. ასე რომ
ერთ შემამულეს ოცდა თორმუტჯერ მეტი მიწა აქვს
ვიზრე გლეხს. სიკულიანისა და მის მახლობელ
ოლქებში თითქმის მთელი აღგილ-მამული ერთ კაცს
ბარონ აგნელოს ეკუთვნის; ტერანოვის ოლქის
მთელი ნახევარი თავადი მონტელერნეს კერძო სა-
კუთრებას შეადგენს. თითქმის ასეა მთელ კუნძულზე;
შეიძები ბარონებისა და თავადების ხელშია. უმიწა-
წყლო გლეხები კი იძულებულნი არიან მათ მიწე-

*) დესიატინა ორ ქუვა ნახევარია.

ბზე იმუშაონ, იქ ლვარონ ოფლი, იქ აწვეთონ სი-
სხლი და მათი სისხლით და ოფლით გაპოხიერებულ
მიწის ნაყოფით ბარონების განცხრომას ხელი შეუ-
წყონ.

როგორც საზოგადოთ ყველგან იქაური თავად-
აზნაურობა მიწასთან დაშორებულია, თავიანთ ადგილ-
მამულის მოვლა-პატრონობა მათ სირცხვილათ მია-
ჩნიათ. ისინი უმეტესათ ქალაქში ცხოვრობენ და თა-
ვიანთი მამული მოურავების ანაბარათ აქვთ მიტო-
ვებული. მოურავი, როგორც დაქირავებული კაცი,
ნაკლებათ დაინტერესებულია სხვისი მიწის დამუშა-
ვებაში და ამიტომ ბევრი ადგილები სრულიად უსა-
რგებლოთ არის მიტოვებული. გლეხები წელში
იგრიხებიან, ოფლს ღვრიან, შრომობენ წლიდან
წლამდე მემამულეების ადგილებში, თვითონ სილა-
რიბეში სულს ლევენ და მემამულეები კი გლეხების
ოფლში გაწურულ ფულებს იჩხრიალებენ ჯიბეში
და განცხრომით ცხოვრობენ ქალაქებში. ისინი
სრულიად დაინტერესებული არ არიან საიდან შე-
მოდით ეს ფულები, თავსაც არ იტკივებენ ვაიგონ
რა ამბები ხდება მათ მამულში, ვისი სისხლით და
ოფლით ცხოვრობენ ასე განცხრომით. ხშირათ
ხთება ხოლმე, რომ ზოგიერთი მემამულეები მთელ
თავის სიცოცხლეს ქალაქში ატარებენ, სოფლით
აუარებელი მამულები აქვთ, რომლებიდან ყოველ
წლობით შემოდით ფულები და ისე იბადებან და

კვდებიან, რომ ერთხელაც თვალს არ გადაავლებენ იმ მაულს, რომელიც მათი განცხრომის წყაროთ გამხთარა.

მემამულების მიწებს ხშირათ გლეხები იღბენ იჯარით, მარა მემამულე პირდაპირ მათთან არ იჭრს საქმეს. ის აძლევს თავის მიწას ნაწილ ნაწილათ მდიდარ მოიჯარადრებს, ესენითავის შხრივ უწევენ საიჯარო ფასს და წვრილ-წვრილათ აძლევენ სხვებს. ხშირათ მოხთება ხოლმე, რომ ვერც მოიჯარადრები-დან ელირსება გლეხი მიწის აღებს. ის კიდევ სხვების ხელში გადადის და ასე რამდენიმე კაცს შემდეგ გადადის იმათ ხელში, ვინც მას ამუშავებს.

ამ გვარათ მუშა ოთხი ხუთი წურბელა მოი-ჯარადრეთა ხელში გავლის შემდეგ ღებულობს მიწას. მისა და მემამულეს შორის შუამავლების მთელი ჯგუფი დაგას და ყველანი სვავ-ყორნებივით გლეხის გასაძირებათ ილესავენ კბილებს. ამიტომარის, რომ თითქმის სადაც კი ასეთი ამბები ხთება გლეხები ზიზლით უცქერიან მოიჯარადრებს, ვიღრე თვით მემამულებს და მათ მოურავებს.

რა უნდა მისცეს გლეხმა მიწაში და რა სარ-გებლობა აქვს მას ამ მიწიდან? სხვა და სხვა ადგი-ლას სხვა და სხვა გვარათ ხთება საქმე. თითქმის იმ ადგი-ლებშიც კი, სადაც გლეხი შელავათიან პირობებში იღებს იჯარით მიწას, უზრუნველ ყოფილი არაა და ლუკმა პური მუდამ ენატრება. კარგია ვისაც ფული

აქვს, მას შეუძლია 15—20 წლით აიღოს იჯარით მიწა, მარა აბა ფული ვინ მიაშავა საწყალ გლეხს, ან და თუ აქვს განა ჯიბეში ჩადებას აცლიან? ეს რომ ასე იყოს, მთელი ქვეყნის მუქთა-ხორა ჩინოვნიკები და მღვდელ-ბერები ხომ შიმშილით ამოწყდებოდენ? იჯარის ფასათ გლეხი მოსავლის ნახევარს იხთის. ხშირათ ასეც ხთება, რომ გლეხი მთელი მოსავლის ერთ ნაწილს თვითონ იტოვებს და ორ წილს მამულის პატრონს აძლევს. //

ყველა ამას გარდა, განსაკუთრებულ პირობების წყალობით, გლეხი მემამულის მაგივრათ თვითონ იხთის მიწის ბაზს. აბა ეხლა ვნახოთ რა ხრიკებს მიმართავს ხოლმე მემამულე, როცა გლეხს იჯარის ვადა უთავდება. როგორც იცით გლეხი იღებს გავერანებულ მიწას იჯარით, ჰკაფავს, სწმენდავს, ხნავს, აშრობს ჭაობებს, ანუყივრებს მიწას და როცა მიწა მეტ სარგებლობის ძლევას იწყებს, მემამულე დროს უყურებს და იჯარის ფასს უწევს. მან კარგათ იცის, რომ გლეხისთვის მიწა საჭიროა და რაც მეტს გამოცინცლის მით უკეთესი მისთვის. რომ ხშირათ ისარგებლოს ასეთ შემთხვევებით ის მოკლე ვადით აძლევს მიწას გლეხს. მემამულე იმის გამოკვლევაში სრულიად არ შედის რატომ იძლევა მეტ სარგებლობას მისი გავერანებული მიწა, ვისი წყალობით მოხთა ეს. ის ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რაც შეიძლება მეტი ასწა-

პნოს საწყალ გლეხს. იმ შემთხვევაში თუ წინანდელი მოიჯარადრე უარს იტყვის ფასის მიმატებაზე, მას ეს სრულებით არ აწუხებს. მისი მიწები არ დარჩება გაუცემელი. გლეხი და მიწა ესორი ერთმანეთზე მჭიდროთ შეკავშირებული საგანია. უმიწო გლეხი ვერ იარსებებს. მას სხვა სახსარი არ აქვს გარდა მიწის მუშაობისა. ეს კარგათ იცის მემამულებ და ამიტომ არხეინათ არის. მიწა მემამულის ხელშია, გლეხს მიწა სკირია. მემამულე ფასს უწევს თავის მამულზე, მას უნდა გლეხს დროუშოვნოს და ტყავი გააშვის. საწყალ გლეხს მეტი გზა არ აქვს იჯარის ფასი უნდა მიუმატოს და მიწა აიღოს. ამ გარემოების წყალობით გლეხებს სრულიად გული უცრუცდებათ მიწის მოვლა-პატრონობაზე. ან კი რა ქნას თუ სხვა რიგათ მოქცევა არ შეიძლება. თუ ეცადა გლეხმა და მიწა გამოაკეთა, როცა მემამულე შენიშნავს ჩემი მამული მეტ სარგებლობას იძლევა ვიდრე წინეთო, ფასს უმატებს და ასე გამოდის თითქო გლეხი თვითონ თავის მტერი იყოს, ის მეტი შრომით და მიწის მოვლა პატრონობით თვითონვე ლესს თავის დასაკლავ დანას. ამიტომ გლეხი გულაცრუებული ეკიდება მიწას, ოღონდ კი მოჩიჩნოს და ცოტა მოსავალი მოიწიოს და სხვა არ უნდა, მის მოვლა-მოშენებაზე სრულიად აღარ ფიქრობს...

ხშირათ გლეხი მამულის პატრონს შემო-

სავლის ნაწილის მაგიერ პირობის დაგვარათ
პურს აძლევს, მაგალითათ ერთ ჯესიატინაზე
6-დან 12 კოდამდე. ასეთი პირობები გლეხების-
თვის მეტათ საზარალოა. მოხთება ხოლმე, რომ ორ
სამ წელიწადს მოუსავლობაა, მიწა არაფერს არ იძლევა.
მემამულე ამაზე თავსაც არ იტკივებს, ის არ კითხუ-
ლობს მოვიდა რამე მის მიწაზე თუ არა, მან იცის
მხოლოდ რომ გლეხმა მას დაპირებული პური უნდა
ჩაუყაროს ბელელში და მის მიწაზე მოიყვანს ამ პუ-
რს თუ სხვაგან იშოვნის მისთვის სულ ერთია: ვლეხს
მეტი გზა არ აქვს, უნდა ვალი აიღოს და მემამულე გა-
ისტუმროს. ის ძალა უნებურათ ხელში უვარდება
სოფლის წურბელებს, რომლებიც სიამოვნებით აძლე-
ვენ მას ფულებს, რომ შემდეგში ერთი ორათ გადაა-
ხდევინონ. ამ ქსელში გაბმული გლეხი ძნელათ დაახწე-
ვს თავს. არის კიდევ სხვაგვარი პირობებიც როცა მაგა-
ლითათ გლეხმა თავის ცხენით, თავის ხარჯზე უნდა შეა-
სრულოს ყველა სამუშაო, დახნას, დათესოს, მო-
მკას და გალეწოს. ამისათვის ის იღებს მოსავლის
მეოთხედს. ამ მეოთხედიდან მან თითონც უნდა
იცხოვროს ცოლ-შვილით და ყველა გადასახადები
გადაიხადოს. ეყოფა კი ეს მეოთხედი? მემულეები
იტყვიან როგორ არ ეყოფა, გლეხს მჟომენა შეუ-
ძლია, თუ მოშივა და შესცივა არაფერია გაუ-
ძლებსო, მარა ჩვენ რომ გვკითხონ კი სულ სხვას
ვიტყვით. ცხადია ყველაფერს ვერ გასწვდება ეს მე-

ოთხედი და ოომ შიმშილით არ მოკვდეს საწყალი გლეხი იძულებულია ისევ თავის მეზობელ სოფლის წურბელას მიმართოს და სესხი აიღოს მისგან. წურბელას ხომ სარგებელი უნდა და ამ სარგებელს გლეხი ახალ კოსავლის მეოთხედიდან იხთის. ასე რომ ოც დრო გადის უფრო და უფრო იფლება ვალეპში და სიკვდილამდე თავს ვეღარ იღწევს ასეთ მდგომარეობას.

უარეს მდგომარეობაში არიან ის გლეხები, რომლებიც დღიურათ მუშაობენ. ერთ ოლქში ისინი ვერასოდეს ვერ შოულობენ საკმაო სამუშაოს, ამიტომ იძულებული არიან შეიდირვა გლეხი ერთათ შეერთდეს და ერთი ოლქიდან მეორეში იარონ სამუშაოს საძებნელათ. ასე დადიან ისინი მთელ სიცილიაში. მათთვის არც სახლია და არც სასმელ-საჭმელი. ხშირათ ცივ ლამეებში ცის ქვეშ ათენებენ ლამეს. მათ, რასაკვირველია, არ იციან საღ და რომელ ადგილას არის საჭირო მუშა ხელი, საღ იშოვება სამუშაო და ტყუილ უბრალოთ მშიერ-წწყურვალნი დაეხეტებიან უგზო უკვლოთ. შიმშილ-წწყურვიდან და ძალლური ცხოვრება სხვა და სხვა ავათ შეიფრთხობას იწვევს და ბევრი მათგანი გზაში იხოცება. თუ ოჯესმე მათ ბედმა გაუღიმა და სამუშაოს წაწყდენ, დიდი ბეღნიერება არც აქმოელით. მშიერ და ოონე გამოლეულ ადამიანს დღეში 14-16 საათი მუშაობა უკთება და ეს კი საბოლოოთ წელში სტეხს მათ.

მემამულე კი თავის პირუტყვებზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიღრე მოჯამაგირეებზე. მისთვის სულერთია დაიხრჩება ის ძალლივით თუ არა, თუ რაკვდება სხვა: ადვილათ იშოვნის. ის მხოლოდ იმით არას დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება მეტი სისხლი გაამოწოვოს მას. ასე, რომ მოექცეს მუშა საქონელს ეს კი მასთვის ზარალია, რადგან საქონელში ფული აქვს მიცემული და მოჯამაგირე კი მას სრულბით არ უყიდია.

მართლაც რაც დრო გადის ამ გვარ პირობებში სიცილიის გლეხობა საშინელ მდგომარეობაში ვარდება; ის ლარიბდება და მის საკუთარ მეურნეობას ბოლო ელება. მემამულეები და სოფლის წურბელები სრულიად ანადგურებენ საწყალ გლეხს. მას მეტი გზა არ დარჩენია გარდა იმისი, რომ მოჯამაგირეთ დადგეს. რაც დრო გადის სამუშაოს მძებნელთა რიცხვითანდათან მატულობს, ერთი მეორეს ეცილებიან და მით სამუშაო ქირას ძირს სწევენ. სდგება მოჯამაგირეთა არტელები, ისინი სიცილიიდან გადადიან იტალიის სხვა ადგილებში, ხშირათ მეზობელ სხვა სახელმწიფოშიც, როგორც მაგალითათ საფრანგეთში და შვეიცარიაში. იქაური მუშები მტრულის თვალით უცქერიან შემოსულ მუშებს. ამის მიზეზი შემდეგია: თავიანთ სახელმწიფოში მათ არაფერი სამუშაო არა აქვთ, შიმშილს და წყურვილს იტანენ და რა კი სხვაგან სამუშაოს იშო-

ვნიან, იმას კი აღარ უყურებენ შათვის ან სხვი-
სთვის ხელ საყრელია თუ არა და რამდენიც უნდა
მისცენ დღიური სამუშაო ქირა ყაბულდებიან. ადგი-
ლობრივ მუშებს ამით ისინი ლუკმა პურს აცლიან
ხელიდან. იმათ გამუდმებული ბრძოლით დიდი ხანია
მოუპოვებიათ მეტი სამუშაო ქირა, გაუუმჯობესებიათ
თავიანთი პირობები, ახდენენ გაფიცვებს, ერთ
გროშს არ უთმობენ ხაზეინებს და ცდილობენ კიდევ
უფრო გააუმჯობესონ თავიანთი ცხორება და ამ დროს
სხვა სახელმწიფოდან მიღიან მუშები და უცათ სა-
მუშაო ქირას ძირს სწევენ, ერთი სიტყვით ერთი
დაკვრით ანგრევენ იმას, რაც ადგილობრივ მუშებს
მთელი წლობით უშენებიათ. ამ მიზეზით ხშირათ
მოსულებსა და ადგილობრივ მუშებს შორის ჩხუბი
და შეტაკება ხოება. მუშები თავიანთ ძმებ მუშებს
ცემით და წყევა-კრულვით ისტუმრებენ იტალიისაკენ.
განა ისინი დამნაშავე არიან, რომ ეს ასე ხოება?
მათ არ ციიან და ვერ გაუგიათ, რომ სხვაფრივ
ცხოვრება შესაძლებელია. ვერ გაუგიათ, რომ მათ ხე-
ლოთ არის საშვალება, რომლის წყალობითაც მათ
შეუძლიათ ამ საზარელ მდგომარეობიდან თავის და-
ხწევა.

ასეთ მდგომარეობაში არიან მოსიარულე მოჯა-
მაგირები, მარა არც ისინი არიან კარგ დღეში,
რომლებიც ადგილობრივ შოულობენ სამუშაოს.
მათი სამუშაო ქირა რაღაც ორიოდ გროშია და

ისიც ბეღნიერს ელირსება მისი ფულათ მიღება, ფულის მაგიერ დამპალ პურს ან მონაყილ (წამხთარ) ლვინოს ლებულობს. ამას თან ერთვის ისიც, რომ მოჯამაგირებს ხშირათ ქალაქში უხთება ცხოვრება; ვიდრე სოფელში. იქ ისეთი ადგილები არის სადაც სოფლები ცოტაა. საზოგადოთ სიცილიაში გლეხები ისე ცხოვრობენ, როგორც ჩვენში—გურია-სამეგრელოში და იმერეთში. ვისაც მიწა საკუთარი აქვს მას ზედ სახლი უდგას და თავისი მიწა შემოზღუდული აქვს. ჭისაც საკუთარი მიწა არა აქვს მას არც სახლი აქვს, მემამულები ნებას არ აძლევენ მათ თავიანთ მიწებზე სახლის აშენების. ამიტომ უსახლარო გლეხი იძულებულია ქალაქში წავიდეს და იქ სადმე ერთ კუნკულში შეაფაროს თავი. საზოგადოთ როგორც ყოველგან, ქალაქში ცხოვრება ძვრია, იქ არ შეუძლიათ იყოლიონ შინაური ფრინველი, ძროხა და სხვა და ყველაფერი ფულზე უნდა იყიდონ. გარდა ამისა, სიცილიაში კიდევ ერთი ახირებული კანონია ხმარებაში. ვინც ქალაქში გადასახლდება უა თან რამე სანოვაგეს გადაიტანს, ამ სანოვაგეზე ბაჟს ახთიებენ და იმას კი არ კითხულობენ გასაყიდათ შემოაქვთ თუ თავიანთვის.

გადასახადს გლეხები საზოგადოთ მთელ იტალიის სახელმწიფოში ძალიან ბევრს იხთიან. ყოველ წლობით „ნედოიმებში“ (დარჩენილი გადასახადი) არა ერთი და ორი გლეხის ჰელა-დიდება იღუპება და იყიდება; გადასახადებს სიცილიაში ისე არ ახდევინებენ, როგორც ჩვენში. იქ არის ეგრეთ წოდებული „სა-

კომლო“ გადასახადი, თუმცა ჩვენშიაც არის ასეთი გადასახადი, მარა იქ სულ სხვაფერ არის. მაგალითად, ვისაც ერთი ჰუხარი აქვს სახლში, ის ნაკლებს იხთის, ვისაც ორი—მეტს, და ასე ამ გვარათ; გადასახადია აგრეთვე საქონელზე, თითო სულზე განსაზღვრული, დესიატინა მიწაზე და სხვა. უკანასკნელ ხანებში, როცა სიცილიაში გადასახადების გამო დიდი არეულობა დაიწყო, ბევრმა ნასწავლმა კაცებმა ყურები გამოიჩრიკეს და დაიწყეს გლეხების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა, დაიწყეს მიზეზების ძებნა, რატომ უჭირთ სიცილიელ გლეხებს ცხოვრებაო. მათ გამოკვლიეს რას აძლევს გლეხს მიწა, რა უჯდება მას ოჯახის შენახვა, და რამდენ გადასახადს იღებს წელიწადში. აღმოჩნდა, რომ იქაური გლეხები საშიშარ მდგომარეობაში იყვენ და ასეთ პირობებში მათ არ შეეძლოთ ცხოვრება. თითო სულზე ოჯახში, წელიწადში, ჩვენებურ ფულზე, რომ ვთქვათ, 25 მანეთი ვალი უნდა აეღო ოჯახის პატრონს, რომ შიმშილით არ დახოცილიყვენ. საიდან უნდა იშოვნოს გლეხმა ეს ფულები? მისი ერთად ერთი წყარო მიწაა. სხვა კერძო სამუშაო არაფერია, რადგან სიცილიაში ქარხანა-ფაბრიკები ძალიან ნაკლებათ არის; მხოლოდ ერთ აღგილის არის გოგირდის-მაღანი და აქ შოულობენ სამუშაოს. აქ მუშაობა კი ნამდვილი ჯოჯოხეთია. რაღაც საშინელ მდგომარეობას ახთენს აღამიანზე, როცა

მაღარ. აში მიძვრება, მთელ ქვეყანას, მზის სინა-
თლეს შორდები და ლუკმა პურისათვის მთელი დღე
ჯოჯოხეთურ შრომას ეწევი. მაღაროებში საძაგელი
ჰაერია, რომელიც ცუდათ მოქმედობს აღამიანის
აგებულობაზე; ხშირათ მაღარო ინგრევა და მრავა-
ლი მუშა იღუპება, წუთი სოფელს ესალმება. ყვე-
ლა ეს კარგათ იცი, მარა მაინც მიძვრები შიგ;
გაჭივრება გიბრძანებს უნდა შეძვრე მაღაროშიო
და შენც ემორჩილები. ასეთია სიცილიელ გლეხის
ბედი.

~~ზაფირის სივიწროვესა და გადასახადებს გარდა~~
სიცილიელ . გლეხებისთვის მეორე უბედურება — ეს
მთავრობაა.

იტალიაში სულ სხვა სახელმწმფო წეს-წყობი-
ლებაა, ვიღრე ჩვენში, რუსეთის სახელმწიფოში.
იტალიაში არის მეფე, მარა თვითმპურობელი კი
არა, როგორც დღემდე რუსეთში იყო, მეფის უფლე-
ბები იქ შეზღუდულია; იქაც, როგორც ჩვენში,
არიან მინისტრები, ჩინოვნიკები, როგორც ჩვენი
გუბერნატორები, მაზრის უფროსები, პრისტავები
და სხვა; მარა იქ მათ სულ სხვა სახელები ქვიათ,
თუმცა მოქმედებით დიდათ განსხვავდებიან ჩვენი
გუბერნატორებისა და მაზრის უფროსებისაგან..
ჩვენში, რუსეთში, მაგალითად, უბრალო მოხელე
რომ ავიღოთ, იმასაც დიდი უფლება აქვს ხალხზე,
თავი ლმერთათ მოაქვს. იქ კი ასე არ არის. იქ მო-

ხელეებს ამდენი უფლება არა აქვთ. იქ ხალხს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს.. მთელ სამეფოში იქ ხალხი ირჩევს თავის დეპუტატებს, რომლებმაც მთავრობის მოქმედებას ანგარიში უნდა გაუწიონ. ეს დეპუტატები, ანუ ხალხის წარმომადგენლები, „შეადგენენ განსაკუთრებულ პალატას და ამ პალატის ნებადაურთველათ თითქმის მეფესაც არ შეუძლია რამე საქმე დაიწყოს და მისდა უნებურათ ნაპიჯი გადადგას. ყველა ეს ძალიან კარგი და სასიამოენოა, მარა მაგარი ის არის, რომ ამ პალატაში არჩევის უფლება ყველას ერთი არა აქვს, აქ მდიდრებს უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე ღარიბებს. უბედურება კიდევ ის იყო, რომ უპრალო ხალხმა დიდხანს ვერ გაიგო რისთვის იყო საჭირო მათვეის თავიანთ წარმომადგენლის არჩევა და გაგზავნა. ამ მიზეზებით ძალიან სარგებლობდენ მდიდრები და პალატაში ყველა თავის წარმომადგენლები გაჰყავდათ. აქიდან ის გამოდის, რომ მდიდრები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ინტერებს იცავენ, და მთელი სახელმწიფოს ხარჯს გლეხებს აწერენ. ან კი რა ენაღვლებათ, როცა სმის .გამცემი არავინ ყავთ. ასე ხთება ჩეენში, იმ .ადგილებში, სადაც ერობაა შემოლებული. ირჩევენ გლეხები თავის წარმომადგენლათ, „ჩოფანო“ გლეხს, ის მიდის საერობო კრებაზე, მხოლოდ იმ აზრით, რომ თავისი „ვალი“ მოიხადოს. როცა მაგალითად, ამ კრებაზე

ლაპარაკი ჩამოუარდება იმის, შესახებ, რომ გლეხებს გადასახდი მოუმატოთ, გლეხების წარმატებულების ორი სიტყვის თქმაც არ შეეძლია ამის წინააღმდეგ და რაც მდიდარ მემამულებს უნდა ყველა-ფერი სისრულეში მოჰყავთ, წინააღმდეგი არავინ ყავთ. ავიღოთ მეორე მაგალითი, ირჩევენ სოფლის მამასახლის ხმოსნათ ერობაში, ის კი მის მაგიერ რომ სოფლის ინტერესები დაიცვას, ერობის უფროსს გისჩერებია თვალებში და იმას ცდილობს როგორ ასიამოვნოს მას; სოფელში მოუსავლობა იყო, ერობის უფროსი, როგორც ყველა მოხელე, როცა კითხავენ „ყველაფერი რიგზე არისო“. გლეხი-ხმოსანი კი, როგორც ყურ მოჭრილი მონა უფროსის სიტყვებს ადასტურებს. გლეხებმა არ იციან რომ ეს ასე ხდება და უკვირთ შიმშილობის დროს რატომ ერობამ დახმარება არ აღმოგვიჩინაო, ის კი არ იციან თუ მათი უფროსი და მათი არჩეული ხმოსანი არიან ყველა ამის მიზეზი.

რესეტში ეხლა ხდება ასეთი ამბები და სიცილიაშა კი წინეთ იყო. გლეხები იქ იმას ირჩევდენ თავიანთ წარმომადგენლათ ვინც მდიდარი იყო და ან კიდევ ვისაც მთავრობა უბრძანებდა. თავიანთ კაცებს ძვირათ ირჩევდენ, რადგან სატახტო ქალაქში წასვლა იყო საჭირო, ამას ხარჯები უნდოდა და მათკი არაფერი გააჩნდათ და თანაც გაუნათლებლობა ხელს უშლიდათ. ამ გარემოებით, რასაკვირველია

ფართოთ სარგებლობდენ ისინი, ვინც გლეხების კისერზე იჯდა და მისი სისხლით და ოფლით სუქდებოდა და საქმეს ისე აკეთებდენ როგორათაც მათვის სასარგებლო იყო. ასე იყო არა თუ მარტო პალატაში თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, ყველგან სქელ-ჯიბიანები ატრიალებდენ საქმეს და გლეხების ინტერესები მუდამ ფეხ-ქვეშ გათელილი იყო. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ იქცეოდენ ეს ვაჟბატონები. რასაკირველია ყეელი სახელმწიფო ხარჯებს გლეხებს წერდენ კისერზე და თვითონ მურალზე გამოდიოდენ. მაგალითათ ვსთქვათ ოთხევე საქონელზე აწერენ ხარჯს, როგორ გვინიათ? მთავრობა სოფლის წურბელებს მხარს უჭერს, იმას ვისაც 40 სული საქონელი ყავს 10 სულის კვალობაზე აწერენ გადასახადს და საწყალ გლეხს იმ საქონლის გადასახაზსაც კი აწერენ, რომელიც დიდიხანია დაელუბა.

ასე იყო ჩემო კეთილო გლეხების საქმე დაყენებული წინათ სიცილიაში. ასე საშინელ მდგომარეობაში იყვნენ გლეხები ჩაცვინული. შრომობდენ, წვალობდენ, წელშა იგრისებოდენ, ითმენდენ ყოველივე გაჭირებას, შიშულს, წყურვილს და სიცივეს და რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო იხლართებოდენ მათი მტარვალების დაგებულ ხაფანგში. ყველაფერ გაჭირებას იტანდენ ტანჯული გლეხები, მარა ამაზე არავინ თავს არ იტკივებდა.

თვითონ განცხრომით კხოვრობდენ მდიდრები გლე-
ხების სისხლით და ოფლით და გლეხები თუნდ მე-
წყერსაც წაელო მათვის სულ ერთი იყო. ხში-
რათ მოხდებოდა ხოლმე, რომ ხან იქ, ხან აქ სასო-
წარკვეთილებაში ჩავარდნილი გლეხები იძულებული
ხდებოდენ უკანასკნელი საშუალება ეხმარათ და
სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ მემაულებს, სახე-
ლმწიფო ხარჯის ამკრეფებს („ბორჩიკი“) და სხვა სო-
ფლის წურბელებს. „უარესი რალა დაგვემართება,
ერთი გული შევარეკოთ მაინც“ გაიძახოდენ გლე-
ხები. მერე და როგორ შეხედავდა ამას მთავრობა?
მე ვიცი კიოხვას არ დამაკლით და მიპასუხებთ თოფ-
ზარბაზნებით, ტყვია-წამლით ეცდებოდა ურჩი გლე-
ხების ჩაჩუმებასო, რაღაც თქვენც არა ერთხელ გი-
ცთიათ მთავრობის ასეთი ძალა. მართალი ხართ,
ასეთი ამბები მარტო რუსეთში არ ხდება, ასე იყო
თითქმის ყველგან, მთავრობას მზათ ყავდა ჯარი,
თოფ-ზარბაზნები და ხელათ მიუსევდა „აბუნტებულ“
გლეხებს, ხოცავდენ, იქერდენ, ამწყვდევდენ ციხეე-
ბში და სხვა. ასე გადიოდა დრო. ასეთ მდგომარე-
ობაში სულს ლევდა სიცილიელი გლეხი. მას თან
და თან არწმუნებდა ცხოვრება რომ ერთათ ერთი
ხსნა მხოლოდ მის ხელში იყო, მხოლოდ თვით მას
თავის ძალლონით შეეძლო მონიბის ბორკილის
დამსხვრევა. სხვისი მოლოდინი, სხვისგან შველა
ტყუილი იმედები იყო მისთვის. ეს თანდათანობით

შეიგწო სიცილიელმა გლეხმა, მარა ამაზე შემდეგ
ვილაპარაკოთ.

ავილოთ ასეთი მაგალითი ვსთქვათ მოხდა ისე,
რომ ლვინის, ხილეულობის და წუმწუმის ფასმა ძა-
ლიან დაიწია მთელ კუნძულზე, ამით რასაკვირვე-
ლია მაღნის პატრონებმა და მემამულეებმა ზარალი
ნახეს. ჩვენ რომ გვყითხოს კაცმა, ამ შემთხვევით
მემამულეებს და მაღნის პატრონებს მართლა ზარა-
ლი უნდა ენახათ, მარა საჭმე ასე არ არის. რა
შვილია მემამულე ან მაღნის პატრონი, რომ ასეთ
გაჭივრებულ დროს რამე ხერხი არ მოიგონოს და
თავის ზარალი არ აინაზლაუროს! ასეც შვრებიან, რაც
მათ აკლდებათ მუშებისა და გლეხების კისრიდან
იყსებენ. მერე როგორ ახერხებენ ამ ოინებს მემა-
მულეები და მაღნის პატრონები? აი როგორ: ვსთქვათ
წუმწუმის ფასი ძალიან დაეცა ბაზარზე, მემაღნე
სამუშაო ქირას უწევს და მუშებს ეუბნება, რომ
უუდი დროა, ზარალი მომელის და ამდენს და ამდენს
უნდა დამჯერდეთ სამუშაო ქირასო. მემამულეები
კი ამ დროს მოსავლის მეტ წილს თხოულობენ,
რომ სანოვაგის ფასის დაცემის გამო მათმა შემოსა-
ვალმა არ დაიკლოს. ასე და ამ გვარათ, როგორც
ხედავთ, მდიდრები თავის დღეში არაფერს არ ზა-
რალობენ და რაც უნდა პირობებში ჩავარდენ გა-
მოსავალი გზა აქვთ, მშრომელი გლეხობის კისრი-
დან იღებენ ყველაფერს! ასეთ პირობებში გლეხებს

მეტი აღარაფერი დარჩენია, რომ სასიკვდილოთ
მოემზადონ.

რა უნდა ქნას უბედურმა გლეხმა: მოითმინოს
ყველა ეს და უყუროს როგორ იხოცებიან შიმში-
ლით მისი ცოლ-შვილი, როგორ იღუპება მისი
ოჯახი?! მართალია გლეხი მომთმენია, მას ყველა-
ფრის ატანა შეუძლია, მარა მოთმენა მაშინ შეიძლება.
როცა მომავალში მაინც რამე კარგს მოელი. რას
მოელის გლეხი მომავალში? უზომო შრომას, ტა-
ნჯვა - წვალებას და გაჭივრებულ ცხოვრებას.
ასეთმა გამოურკვეველმა მდგომარეობამ გლე-
ხები დააფიქრა. ზოგიერთებმა, რომლებიც უფ-
რო შეგნებული და გაბედული იყვენ, იწყეს ერთათ
შეკრება და თავიანთ ჭირ-ვარამზე ლაპარაკი. მათ
გადასწყვიტეს, რომ ასე ძალლურათ ცხოვრება შე-
უძლებელია, რამე ღონე უნდა ვიღონოთ და ჩვენ
თავს თვითონ ჩვენ უნდა უშველოთო. გავიდა დრო
და მთელ იტალიაში რაღაც უცნაური ხმები გა-
ვრცელდა სიცილიელ გლეხებზეა.

სხვათა შორის ხმა გავარდა, რომ სიცილიელმა
გლეხებმა, რომელებიც უფრო გაბედული იყვენ, სი-
ცილიაში არეულობა მოახდინეს, შეკრეს კავშირი
და უნდათ მთავრობა და მემამულეები სრულიად მოს-
პონო.. იმასაც კი ამბობდენ, რომ ამ კავშირის
წევრები ქურდები და ავაზაკებიათ. კავშირს ბევრი
ნასწავლი ხალხი მიემხრო, ვექილები, მასწავლებლე-

ბი და სხვებიო; თითქოს ნასწავლები გლეხებს აქე-
ზებენ, ათას რამეს პირდებიან, გლეხების შემწეო-
ბით უნდათ თანამედროვე მთავრობის მოსპობა და
მის ადგილის გაბატონებაო. ამას ზედ უმატებდენ,
რომ თითქო ზოგიერთი ახალგაზდა თავად-აზნაუ-
რობაც მიემხრო გლეხებს და თავისიანების წინააღ-
მდეგ ამხედრდენო...

ზოგიერთები წინააღმდეგ იმას ამბობდენ, რომ
ყველა ეს ხმები ტყუილი მოგონებაა, სიცილიაში
არავითარი არეულობა არაა, გლეხთა კავშირის შესა-
ხებ ყველაფერი მემამულეების მოგონებულის, რადგან
იმათ საშინალათ ეჯავრებათ, როცა გლეხები რამე გო-
ნივრულ საქმეს კიდებენ ხელსო. კავშირი კარგი საქ-
მეაო, კავშირის წევრები ისე ცხოვრობენ ერთმანეთ-
ში, როგორც ძმებიო. მართლაც ბევრი სწავლულე-
ბი და მდიდრები მიემხრენ გლეხებს, მხოლოდ სიტ-
ყვით, საქმით არ გეგონოთ. ერთი სიტყვით იტა-
ლიაში ერთი აურ-ზაური ასტერა სიცილიელ გლე-
ხების ამბებმა.

ამ სხვა და სხვა ხმების მიხედვით. შეუძლებელი
შეიქნა, რამე მართალი გაეგო კაცს, მარა საქმე
მაღე გამოირკვა. მთავრობამ მოულოდნელათ აუა-
რებელი საჩივრები მიიღო სიცილიელ მემამულეთა-
გან გლეხების შესახებ. მთავრობას საქმე გაუჩნდა.
ის წინათ არხეინათ იყო, მას სრულიად არ აწუ-
ხებდა რას აკეთებდენ გლეხები ან როგორ ცხოვრო-

ბდენ. არ აწუხებდა მთავრობას გლეხების მდგომარეობა, იმიტომ რომ გლეხები ჩუმად იყვენ და ყველაფერ გაჭივრებას უხმოთ იტანდენ. ამ მოულოდნელმა ამბავმა ძილი დაუფრთხო მთავრობას, მან საჩქაროთ გაგზავნა სიცილიაში მოხელეები, რომ გამოეკვლიათ ხალხის გაჭირვება. ხმა გავარდა, რომ მოხელეებში ერთი საიდუმლო განკარგულებით არის გაგზანილი, რომ დაწვრილებით გაიგოს გლეხთა კავშირების შესახებ ყველაფერიო. ეს ამბავი ვაზეთებშიაც დაიბეჭდა და ზოგიერთმა მეგაზეთებმა თავისი კაცები გაგზავნეს აღგილობრივ ამბების შესატყობათ. მათ რიცხვში იყო ერთ იტალიელი მწერალი როსი.

II

როსი პირველათ ეწვია იმ მოხელეებს, რომლებიც მთავრობამ გაგზავნა საქმის გამოსაკვლევათ. მას ეგონა მოხელეებიდან დაწვრილებით გაიგებდა ყველაფერს, მარა მოსტყუვდა. ზოგი ამბობდა არაფერი ვიციო კუნძულზე სულ სხვა საქმეზე გამოგვგზანესო. ზოგი ვერ ბედავდა ეთქვა რამე, რადგან ეშინოდა ზედმეტი რამე არ ეთქვათ. ერთი სიტყვით ცხადი იყო მთავრობის მოხელეები იმ აზრით კი არ გამოეგზავნათ. რომ გაეგოთ ხალხის გაჭივრება და დახმარება გაეწიათ, არამედ იმიტომ რომ გაეგოთ რა კავშირები ჰქონდათ გლეხებს და რამდენი ძალა იყო საჭირო მათ შესამუსრავათ, უკე-

თუ ჯარი იქნებოდა საჭირო გლეხების დასამარცხებლათ. მოხელეები, რასაკვირველია, გლეხებს ახლო არ ეყარებოდენ, რომ მათგან გაეგოთ მართალი ამბავი; ისინი მემამულეებსა, მღვდლებს და აღგილობრივ მთავრობას ეკითხებოდენ ყველაფერს და იმათან ჰქონდათ საქმე. ისინი, რასაკვირველია, ყველაფერს ბრალს გლეხებს სდებდენ, გლეხები კმაყოფილი არიან ცხოვრებით, ყველაფერი აქვთ, ჩვენ ვართ დიდ ზარალში პურის და ლვინის ფასის დაცემითო. ჩვენ გლეხებზე არა ნაკლებ გაჭირებაში ვართო. ჩვენ ყველაფერს ვუთმობთ გლეხებს, მარა სხვა და სხვა „ბუნტოვჩიკები“ აგულიანებენ და არეულობას ახდენენ; საკმაოა ამ „ბუნტოვჩიკების“ დაჭერა და ციხეში ჩაგდება და ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგებათ, ამბობდენ მემამულეები.

რაკი მოხელებიდან ვერაფერი გაიგო, როსიმ მიმართა გლეხთა კავშირის მეთაურებს; აქ მას სულ სხვა რიგათ შექვდენ. კავშირის მეთაურებმა განაცხადეს, რომ მათ არავის არ ეშინიათ და არც არავის ემალებიან, რადგან სიმართლე ჩვენ მხარეზე არისო ჩვენ კანონიერათ ვმოქმედობთ და შიშიც არავისი გვაქვსო.

იტალიაში ისე შევიწროებული არაა ხალხი, როგორც ჩვენში. იქ ყველას თავისუფლათ შეუძლია შეკრება, კავშირების შედგენა, იქ არავითარი ნებართვა არ არის საჭირო ისე შეუძლია ყველას შეი-

კრიბოს და იმსჯელოს რაზეც უნდა, მთავრობაზე, კანონებზე, წესიერებაზე. ყველას თამაშათ შეუძლია ხმა აღიმაღლოს თუ კი უსამართლობა რამე დაინახა. იქ სრულებით აღკრძალული არაა გაფიცვა. მუშებს შეუძლია წინაღმდეგობა გაუწიონ ხაზეინებს გაფიცვით, მათ საქმეში მთავრობა არ ერევა. იქ ისე კი არ გეგონოთ, მეგობრებო, როგორც ჩვენშია. ჩვენში გაფიცვა სხვა ყოველივე მოქალაქობრივ უფლებასთან ერთათ სასტიკათ აღკრძალულია. ჩვენში მთავრობა არა თუ არ ერევა მუშებისა და ხაზეინების საქმეში, უბრალო გაფიცვისათვის თოფზარბაზნებსაც კი უშენს მუშებს. რაჭომო იკითხავთ? ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და ისევ სიცილიელ გლეხების ამბავს დაუბრუნდეთ და იქნება იქიდანაც გავიგოთ ამის მიზეზები. რაკი ასეთი კავშირები აღკრძალული არ იყო იტალიაში, სიცილიელი გლეხებიც არ მაღავდენ თავიანთ კავშირების არსებობას. ზოგ კავშირებს საკუთარი სახლი ჰქონდა. ხშირათ მუზიკით და დროშებით თავისუფლათ გამოდიოდენ ქალაქში. იკრიბებოდენ მოედანზე. სადაც ორატორები სიტყვებს ამბობდენ და სავსებით აღნიშნავდენ რათ იტანჯებოდენ სიცილიელი გლეხები და რა საშუალებით შეიძლებოდა მათი ამ მდგომარეობიდან თავის დახტევა.

კავშირის მეთაურები დიდის სიამოვნებით უგებდენ პასუხს როსის ყველა კითხვებზე. გულახდილათ

უამბობდენ მას რა გაჭივრებაში იყო სიცილიელი გლეხები, და ურჩევდენ რომ უფრო დარწმუნებულიყო და დაწვრილებით გაეგო ყველაფერი, წასულიყო სოფლათ და თვით გლეხებისთვის გამოეკითხა ყველაფერი.

როსი მართლაც ასე მოიქა. ის გაემგზავრა ერთი ამ მეთაურთაგანის წინამძღოლობით. დადობა სოფლიდან სოფლათ, სინჯავდა გლეხების მიწას, კითხულობდა სხვა და სხვა ხელშეკრულობებს გლეხებსა და მემამულეებს შორის. ის ყოველ შემთხვევით სარგებლობდა, რომ ელაპარაკნა გლეხებთან, ერთთან და ორთან კი არა მთელ საზოგადოებასთან.

ერთხელ ის შევიდა ერთ დიდ სოფელში. ამ სოფელში სულ ცხრა ათასი სული ცხოვრობდა და მათში ორი-ათას ხუთასი კაცი და ათასამდე ქალი იყო კავშირის წევრათ. როსი იქ კვირას დიღა აღრიან მივიდა და სწორეთ კავშირის კრებას მიუსწრო. კაცები ოთახის ერთი მხრით იდგენ და ქალები მეორე მხრით. როსის მისვლა ყველას ძალიან ესიამოვნა, მეცობრულათ მიიღეს, დასვეს შუა ალაგას და სიამოვნებით. იძლევდენ პასუხს ყველა მის კითხვებზე.

—რატომა ამდენი ხალხი თქვენ კავშირში? დაეკითხა ის ხალხს.

—იშიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ ეხლა გავიგეთ, რომ ჩვენი ხსნა ერთობაშია, რამდენათაც მეტი და

მჭიდროთ შეკავშირებული ვართ იმდენათ უფრო
ადვილათ შეგვიძლია მტრის დამარცხება და ჩვენი
მიზნის მიღწევა.—ერთხმათ უპასუხეს მათ.

—რა გსურთ თქვენ? რით ხართ უკმაყოფილო?

—თქვენ ისა გვკითხეთ რითი ვართ კმაყოფილი—უპასუხა ერთმა გლეხმა. აი მე ერთი ბეჭი მიწა
არ გამაჩნია. სამუშაოს მხოლოდ ექვს თვეს ვშოუ-
ლობ წელიწადში და დანარჩენ დროს კი არავის
არ უნდივარ, ყველასათვის მეტი ბარგი ვარ. წარ-
მოიღვინეთ ერთი კვირის განმავლობაში ჩემი შრო-
მის ფასი მხოლოდ ორ—სამი მანეთია, ისიც მაშინ
თუ კარგი დარებია, და თუ წვიმიანი დღეები
კი უფრო ნალკებიც.

—რას აკეთებთ თქვენ, როცა სამუშაო არა
გაქვთ?

—რას ვაკეთებთ? რასა და ვექებთ ბალახის
ძირებს, ვხარშავთ და ხშირათ უმარილოთ ვიყრით
მშიერ კუჭში.

—ცოლ შვილიანი ხართ?

—დიახ, მე ცოლი და ორი პატარა შვილი
მყავს. ერთ პატარა მცრალ და ნესტიან ოთახში 26 მ.
ვაძლევ წელიწადში ქირას. ჩვენთვის არც ლოგინია
და არც არაფერი, გვძინავს ჩალაზე და როცა მინ-
დორში ვმუშაობთ ჩვენი ლოგინი ცივი მიწაა და
საბანი ლაქვარდოვანი ცა. ვშრომობთ ასეთ ჯოჯო-
ხეთურ პირობებში და მემამულეები ანგარიშის გაწ-

მენდის დროს რამდენიმე საათობით გვალოდინებენ ფულის მოკემას. გვაძლევენ რაღაც ორიოდ გროშს და ყოველ ხრიკებს ხმარობენ, რომ როგორმე მოგვატყუონ ანგარიშში და ორიოდ კაპეიკი წაგვ-გლიჯონ. ხშირათ ისეთ ფულებს შემოგვატყუებენ ხოლმე რომ არვინ არ ლებულობს. თუ გაბედე და უჩივლე ვაი შენი ბრალი, მუდამ ის მართალი გა-მოდის და შენ მტყუანი. ამის შემდეგ კიდევ ჩვენ გვამტყუნებენ მემამულეები, ვითომ ჩვენ მათ ვატ-ყუებდეთ.

—განა ყველა თქვენგანი ასე ბოგანოა და საკუ-
თარი მიწა სრულიად არა აქვს? ჰკიიხა როსიმ

—არა, აი მე მაქვს მიწა—მიუგო მეორე გლე-
ხმა— მარა საქმე ის არის, რომ ჩვენც ისეთივე ტა-
ფაში ვიხრაკებით, როგორც უმიწო გლეხები, არც
მეტი და არც ნაკლები, მიწები ცოტა გვაქვს და
გადასახადებს კი ბევრს გვახთიებენ. თითქმის მთელი
ჩვენი შემოსავალი სახელმწიფო გადასახადში მიდის.
ჩვენც ისე გაჭივრებული ვართ, რომ საკუთარი მი-
წის ქონებას და იქ მუშაობას, დღიურათ ქირაზე
მუშაობა გვირჩევნია.

—ისეთი წელიწადი არავის ჩვეგანს არ უნახავს,
რომ საკუთარი პური ყოფნოდეს—დაიწყო მეორე
გლეხმა. ჩვენ სიცოცხლეში ყველაფერი გვაკლია.
და მუდამ სხვის კარებზე სიარული გვიხდება პურისა
თუ ფულისათვის. როცა მემამულე გვაძლევს სესხათ

პურის მარცვალს, გალეჭის დროს ერთი ორათ და საუკეთესო პურს თხოულობს. ხშირათ მემამულებს ორი საწყაო აქვს ერთი დიდი და მეორე პატარა, პატარა საწყაოს მაშინ ხმარობს, როცა ჩვენ გვაძლევს პურს და როცა ჩვენგან მიაქვს კი დიდს. ამას წინათ პოლიციას უკანვე დაუბრუნეთ პური, პური კი არა ნამდვილი ქვიშა იყო, ძალი არ შესჭამდა.

— რას თხოულობთ ეხლა, რა გინდათ? შეეკითხა როსი.

— რა გვინდა? — ყველას მაგიერ უპასუხა ასალ-გაზდა გლეხის ქალმა — აი ჩვენ რა გვინდა: ჩვენ გვინდა ყველა ისე შრომობდეს, როგორც ჩვენ ვშრომობთ; არ იყოს არც მდიდარი და არც ღარიბი; რომ ყველას ყოფნიდეს პური, თავისთვის და თავის შვილებისთვის. ყველანი თანასწორი უნდა იყვენ. მე ხუთი შვილი მყავს და ყველანი ერთ ოთახში ვსალილობთ, ვმუშაობთ და გვძინავს და ზოგიერთ ბარონებს კი ათი და თორმეტი ოთახი აქვს.

— მაშ თქვენ გინდათ ყველაფერი თანასწორათ ვაიყოთ? ჰქითხა როსიმ. მერე და არ გეშინიათ, რომ მერმე ზოგიერთი უფრო მოხერხებულები გამდიდრებიან და სხვები გაღარიბდებიან და ისევ მდიდრების კლანჭებში ჩაცვივიან?

— არა ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ყველაფრის გაყოფა -- უპასუხა გლეხის ქალმა — . მიწა მშრომელის უნდა იყოს, ყველა ჩვენგანი უნდა-

შრომობდეს და მოსავალს სისწორით ვიყოფდეთ. მაშინ არვინ ჩვენგანი სხვისი შრომით არ გამდიდრდება.

—განა ეს არ შეიძლება მოხდეს, რომ როცა თქვენ იშრომებთ და ნაშრომს საზოგადოთ გაუოფთ, გამოჩნდენ ისეთი პირნი რომ ცოტა იმუშაონ და ბევრის წალება მოინდომონ?

—არა, ეგ არ მოხდება, ჩვენ ყველა ძმები ვართ, ჩვნ ისე ვიქნებით, როგორც ერთი ოჯახი; ვინც რამე უწესოებას ჩაიდენს ვეცდებით გავასწოროთ და თუ არ გასწორდა კიდეც დავსჯით.

—თქვენი მღვდლები რალას ამბობენ ამის შესახებ?

—ვინ იცის ვინ რას ამბობს, მარა განა ჩვენ ყველას ყური უნდა უგდოთ? წყენით უპასუხა ქალმა. ქრისტეც ამასვე ქადაგებდა, რასაც ეხლა ჩვენ ვამბობთ. როგორ ცხოვრობდენ პირველი ქრისტიანები და მოციქულები? მათ ყველაფერი საერთო ქონდათ, ვინც რამდენსაც იშოვნიდა, ყველას საერთო, საძმო სალაროში მიჰქონდა. ჩვენი მღვდლები, რასაკვირველია, იმას აღარ ამბობენ რასაც ქრისტე ქადაგებდა. ისინი იმას ამბობენ რაც მათვის და მდიდრებისათვის არის საჭირო; მათ დავიწყებიათ ქრისტეც და ყველაფერი. ჩვენში ისინი ისეთი წუ. რბელები არიან, როგორც სხვა ჩვენი სისხლის მსველები. ყველაფერ საზიზლრობას ჩადიან ოლონდ

ტყავი გაგვაძრონ და კუჭი გაიძლონ. როცა კავშირის შედგენას შეუდექით აქ, ამ ამბავმა მღვდლებს თავზარი დასცა. იმათ კარგათ გაი ეს, რომ ამის შემდეგ მათ ისე ადვილათ აღაჩ შეექლოთ მოტყუება და ტყავის გაძრობა. რომ ჩაეშალათ ეს საჭმე ათას ხერხს მიმართეს, ზოგი აღსარების დროს გვემუქრებოდა და გვაშინებდა, ზოგიც ზიარებაზე უარს გვეუბნებოდა, მარა ამან ჩვენ ვერ შეცვაშინა და ჩვენი საჭმე მაინც გავიტანეთ.

— როგორ უნდა შევეშინებიეთ — ჩაერია ლაპარაკში მეორე გლეხის ქალი — ჭარა-სმა ყველასაფის საჭიროა, გვეყო ჩვენ ამდენი შიმშილი და გაჭივრება. ავერ ჩემმა ქმარმა რა კი ა! ვერ იშოვნა სამუშაო სადღაც წავიდა სამუშაოს საძებნელათ და დღესაც არ ვიცი ცოცხალია თუ მკუდარი. ეს ყველა გაჭივრების ბრალია. მეტის მტი გაჭივრების გამო ორი მოზრდილი შეილები ქალაქში მივაბარე მოსამსახურით და შინ დარჩენილი პატარები რომ შიმშილით არ დამხოციდა თუ რამ მებადა ყველაფერი მევახშეს დაუგირავე. მევას შე ხომ ჩვენ გაჭივრებას არ უყურებს და სკლისავან ხორცამდე ტყავს გვაძრობს. როცა წლომათ იჯიბავს ფულებს გადასახლდება ქალაქში და ნის აღვილას სოფლათ მეორე გაჩდება. ერთს ვიშორებთ თავიდან და მეორე გვაჯდება კისერზე, რომ უფრო მავრათ გამოგვწოვოს სისხლი. გვხრავენ და თანაც დაგვცინიან: კანონი თქვენთვის და-

წერილი არ არის. კანონით თქვენ ჩვენთან ვერას გააწყობთო.

— ყველაფერი ეს სრული ჭეშმარიტებაა-დაუმატა მესამე ხნიერმა ქალმა—როცა მდიდარი რამე ცუდი საქმისთვის ჩავარდება მახეში, ის ყოველთვის თავი-სუფლათ გამოდის იქიდან. ის მუდამ პოულობს თავის მხსნელებს, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და რაკი ფულები აქვთ ისინიც არ ზოგვენ. ჩვენ ძმას კი ერთი ნატეხი პური რომ მოიპაროს, რომ შიმშილისგან სიკვდილს თავი დაახწიოს, მაშინვე ციხეში უკვრენ თავს და იქ ამოალპობენ.

— მართლა-ერთი ეს მითხარით, თქვენზე ამბობენ ვითომ თქვენ კავშირში ყველა ქურდ და ავაზაბს ღებულობდეთ. მართალია ეს?

— ვინ მოგატყუათ? უპასუხეს გლეხებმა—უთუ-ოთ რომელიმე მემამულე მოაჭორებდა მაგას, რომ ვავეშავებინეთ ქვეყნის თვალში. ცუდ კაცებს ჩვენ ახლოც არ ვიკარებთ; რა უნდა გაგვიკეთონ მათ წახდენის მეტი. ჩვენ მხოლოთ ნამდვილ პატიოსან კაცებს ვიღებთ ამხანაგათ. შეიძლება ამხანაგობაში ისეთები იყვენ, რომლებიც ციხეში მჯდარან, მარა განა ცუდ კაცობისთვის? ალბათ იგენზე ამბობენ მე-მამულეები ვითომ კავშირში ქურდები და ავაზაკები გვყავდეს. განა აღამიანის ლირსების გაზომვა ციხეში ყოჭნით შეიძლება? ვინ არის დღეს ისეთი, რომ სა-ტუსალო არ ენახოს და თუ ყველა იქ ნამყოცს ავა-

ზაჟები ვუწოდეთ, მაშინ ვიღა დაგვრჩება არა ავაზაკი? მე ვფიქრობ ავაზაკები და ქურდები ისინი არიან, ვინც ზალხს სჩმრავს, მისი სისხლით და ოფლით ძღება და თუ ხალხმა ხმა ამოიღო თოფ-ზარბაზნებათ და ტყვია წამლით სცემს პასუხს, ამწყვდევს ციხეებში და თვით-ნ კი არხევინათ არის. ნამდვილი ავაზაკები, ოქროს საყელოიან მუნდირებში ვამოწყობილნი, სასახლეში განცხრომით სცხოვრობენ საწყალმა გლეხმა, შიმშილისაგან გამწრებულმა, რომ ერთი ნატეხი პური მოიტაცოს, ან ფიჩხი მოსტეხოს ტყეში, ის ხომ სატუსალოს თავს ვეღარ დაახწევს. განა ამ დანაშაულისთვის შეიძლება მას ავაზაკი ვუწოდოთ და გავურბოდეთ, როგორც რამე გადამდებ სენით შეპყრობილს?“. ასეთ კაცს კი არ უნდა გავურბოდეთ, უნდა დავეხმაროთ, უნდა ვანუგეშოთ. ის ისეთივე კაცია, როგორც ყველა ჩვენგანი, თითქმის ჩვენზე უბედურიც კი. ასეთ კაცებს ჩვენ ვიღებთ ჩვენ კავშირში, რაღვან ჩვენ მათ ისე კი არ ვუყურებთ, როგორც ავაზაკებს, ჩვენ შათ დახმარებას ვუწევთ, ვცთილობთ გავასწოროთ. ამისთვის ჩვენ კი არ უნდა გვლანძლავდენ, კადეც უნდა გვიმადლიდენ. განა თვით ქრისტემ არ გვიბრძანა ცოდვილების პატიება? ერთმა ჩვენმა მეთაურთაგანმა მართლაც, რომ სიმართლე თქვა: „ჩვენი კავშირები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ყველამ კარგათ იცხოვროს და როცა ყველა კმაყოფილი

იქნება, არავინ არც არაფერს. მოიპარაუს და არც არავის წაართმევსო“.

როსი გაკვირვებული იყო და თავის უურებს არ უჯერებდა, რომ ასე გონივრულათ და გაბედულათ მას გლეხები ელაპარაკებოდენ, ის გლეხები, რომლებსაც მოხელეები და მემამულები ავახაკებს და ველურებს უწოდებდენ...

— როგორ მიდის თქვენი კაშირს საქმე? ჰკიაზხა მარ.

— მშვენივრათ. ამას წინათ არჩევნები გვქონდა სათემო საბჭოში *). იველ გამგეობის წევრებმა ცუდათ დაიწყეს საქმე, ჩვენი ინტერესები ფეხქვეშ გათელეს და მთავრობას და მემამულეებს დაუჭირეს მხარი. ჩვენც არ დავაყარეთ ხეირი, ყველანი დაუიფრინეთ გამგეობიდან და მათ მაგიერ სხვები ავირჩიეთ — ასე მოხდა სხვა მრავალ ადგილას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რაღან თითქმის მთელი ხალხი ან კავშირის წევრია და თუ არა, მაინც იქით მიიღოტვის, მემამულეებისა და ლოფლის წურბელების გარდა. უნდა ვეკადოთ მეტი ხალხი გავიყვანოთ, რაღან მათ ისეთი საქმეები შეხვდებათ ხოლმე გასარჩევო,

*) ეს საბჭო ჩვენ სოფლის საზოგადოების სასამართლოებს წააგავს, მარა განსხვავდება მით რომ იქ მარტო მამასახლისს კი არ ირჩევენ; იქ ირჩევენ რამდენიმე კაცს, რომელთაც თავიანთ შორის მამასახლისი უნდა აირჩიონ. —

რომლებიც გლეხებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. უეჭველია ახლო მომავალში კავშირი მთელ საზოგადო საქმეებს ჩაიგდებს ხელში.

— ეს საქმარისი არ არის — უთხრა როსიმ — ვ!-თქვათ მაგალითათ სოფლის სასამართლოები მთლათ თქვენ ჩაიგდეთ ხელში, განა ამით გადასახადები შეგიმცირდებათ ვითომ?

— ეს ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით — უპასუხა ერთია გლეხის ქალმა, — რომ ჩვენ არჩეულ პირებს, სოფლისა და ქალაქის სამართველოებში, არ შეუძლიათ სრულიად განკურნონ ჩვენი წყლულები და დაგვიფარონ ყველა იმ გაჭირებიდან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მარა საქმე იმაშია, რომ ჩვენი კავშირებით ჩვენ შეგვიძლია ისე მოვახერხოთ საქმე, რომ ჩვენი წარმომადგენელი პალატაშიც გავგზავნოთ. ჩვენ კავშირებს შეუძლია იმდენი გავლენა იქონიოს მთავრობაზე, რომ ძალა დაატანოს პალატაში ჩვენი წარმომადგენელი მოყვეს. რაკი ეს ისე მოხდება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვითიქროთ იმ საშვალებაზე, რომლის წყალობითაც ჩვენ შეგვეძლება გადასახადების შემცირება გავიყვანოთ პალატაში. მაშინ ჩვენ საშვალება მოგვეცემა თვალყური ვადევნოთ და ძალა დავატანოთ მთავრობას ასეთი კინონები გამოსცეს, რომელიც ჩვენთვის იქნება სასარგებლო და არა მარტო მდგრებისა და მემამულებისათვის ჩვენდა გასაყვლეფათ.

— ეს ყველაფერი კარგი — უპასუხა როსიმ — მარა საქშე იმაშია, რომ ასეთი კავშირები ჯერ მხოლოდ მარტო სიცილიაშია. სიცილია კი ერთ პატარა ნაწილს შეადგენს მთელი იტალიისას და აბარა უნდა გაკეთოს თქვენება დეპუტატებმ . განა თქვენ არჩეულ რამდენ მე კაცს შეუძლია იმდენი გავლენა მოახდინოს პალატაში, რომ მთელი იტალიის გლეხების ინტერესები დაიცვას და თავისი ვაიჭინოს? ძალიან საეჭვო .

— არც ისე ცუდათაა საქშე თქვენ რომ ვგონით — თამამათ დაწყო ერთმა ახალგაზღა გლეხმა — ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კავშირებ გაფართოვდება და მთელს იტალიაში მოიდგამს ფეხს. ამ მოკლე დროში ჩვენ კუნძულზე ერთი ორათ იმატა ჩვენმა კავშირებმა და დავიჯერთ რომ ჩვენი ტანჯული ძმები იტალიაში პოლოს მაინც არ გამოფხიზლდებიან? საჭიროა მხოლოდ ერთხელ მათი გამოლვიძება. საჭიროა გავაგებინოთ მათ ასეთი კავშირების სარგებლობა და რაკი ერთხელ მოიდგამს ფეხს მერე თავის თავათ გაფართოვდება და მეტ ხალხს მიიზიდავს. განა ჩვენც ასე არ ვიყავით წინეთ? გასულ გაზაფხულამდე ჩვენ თითქმის არავითარი წარმოდგენა არ გვქონია კავშირებზე, ვიხოცებოდით შიმშილით, საშინელ ტანჯვა — წვალებაში სულს ვლაფავდით და არ ვიცოდით რა ვზას დავდგომოვით, რომ თავი დაგვეხწია ამ უკი-

დურეს მდგომარეობიზა. ჩვენ ბრძები ვიყავით და ვერაფერს ვერ ვხედავდით რა ხდებოდა ჩვენ გარშემო.

ასეთ პასუხს აძლევდენ როსის ქალები და კაცები, რომლებიც მას გარს შემორტყმოდენ. მათი გაბედული სახე ნათლათ ამტკიცებდა, რომ ეს სიტყვები წამდვილ გულის სილრმიდან ამოლებული იყო და აშკარა იყო, რომ საქმითაც ისე გაბედულათ და გადაჭრით იმოქმედებდენ, როგორც სიტყვით.

— მე ერთი რამ მინდა გითხრათ, უთხრა როსიმ, შეიძლებთ თუ არა ბოლოს მაინც მიახწიოთ თქვენ მიზანს არავინ იცის, მხოლოდ საქმე იმაშია დღეს გაქვთ რამე სარგებლობა თქვენი კავშირებიდან თუ არა?

— ძალიან დიდი სარგებლობა გვაქვს. გაჩნდა თუ არა კავშირები. მემამულეები ისე შეშინავენ, რომ მაშინვე დაგვიკლეს ყველაფერი და შეღავათიან პირობებში გვაძლევენ იჯარით მიწებს. ზოგიერთება მას შემდეგ სინდისიერათ უსწორდებიან მუშებს. — სთქვა ერთმა

— კავშირები მართვენ შოზრდილოათვის სკოლებს — დაუმატა მეორემ — იქ ჩვენ ხშირათ ვიკიბებით უქმე დღეებში და ხშირათ საქმის დღეებში სალამოობითაც. იქ ჩვენ ბევრ რამე სასარგებლოს გვიამბობენ. ჩვენ ხომ ბნელი ხალხი ვართ! ჯერ ჩვენ

ის უნდა ვისწავლოთ, რომ მემამულეებს ჩვენი მოტყუება აღარ შეეძლოთ. ჩვენ გავიჩინეთ სკოლები, ბიბლიოთეკები; ვყიდულობთ ყოველნაირ წიგნებს, შევიძინეთ ყველა კანონების კრებული, რომ ყველა ჩვენგანმა იცოდეს რა უფლების პატრონი ვართ ჩვენ და რის მოთხოვნა და არ მოთხოვნა შეუძლია ჩვენგან მთავრობას. კავშირმა ჩვენ თვალები აგვიხილა და გვასწავლა როგორ უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენ სასოფლო საქმეებს და ჩვენ არჩეული პირებს ანგარიში მოვთხოვთ.

— გარდა ამისა ჩვენ დახმარებას ვუწევთ ერთი მეორეს გაჭირვების დროს — დაუმატა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა — როცა კავშირის წევრი კვდე²ა, ჩვენ ერთმანეთში ვაგროვებთ ფულს ქვრივისთვის ან სხვაფრივ ვეზმარებით. ავილოთ თუნდ ეხლანდელი მაგალითი: ერთი ახალგაზდა ბიჭი კარგახანს იწვა საავათმყოფოში, გამოვიდა და ჯერაც კიდევ კარგათ ვერ არის; რაკი შრომა არ შეუძლია ჩვენ ვიკისრეთ რიგ რიგობით ვარჩინოთ, ვინც ცოტათი შეძლებულია, ხან ერთთან არის და ხან მეორესთან. თქვენც კარგათ ხედავთ, რომ ჩვენ არაფერი ცუდი არ გვინდა, ჩვენ გვინდა მხოლოდ ყველა ჩვენგანს ლუქმა პური ქონდეს. პო და აი ასეთ საქმისთვის ვინ იცის ჩვენზე რა და რა ხმებს არ ავრცელებენ. უნდათ ციხეში გვიკრან თავი. განაცეთილი საქმისთვის ციხეში უნდა დაამწყვდიონ კაცი?

კიდევ დიდხანს ელაპარაკა როსი გლეხებს და
მათი სიტყვებით საბოლოოთ დარწმუნდა, რომ კავში-
რების სარგებლობა გლეხებს ძვალსა და რბილში
ჰქონდათ გამჯდარი. და თვითეული მათგანი მზათ
იყო თავი შეეწირა მისთვის.

„აბა გაბედოს ვინმე ჩვენგანმა და სათითაოთ
ამხელრდეს ჩვენი მტარვალების წინააღმდეგ — ამბო-
ბიენ გლეხები — და მოსთხოვოს მემამულეს საიჯარო
ფასის დაკლება ან სხვა რამ — განა ხმას გაგცემს ვინმე
და შენს ჩივილს ყურს დაუგდებს? მთავრობა ზე-
დაც არ შემოგხედავს. მემამულე კი ეცდება გაგ-
გდოს თავის მიწიდან, ან კი რა ენაღვლება როცა
მუშტარს მუდამ იშოვნის. როცა ჩვენ კავშირები
არ გვქონდა მუდამ ერთი მეორეს ვეჯიბრებოდით
მიწებზე. ეხლა კი სულ სხვაა, ყველა ჩვენგანი მზათ
ვართ თავი გავსწიროთ მთელი საზოგადოებისთვის
და საზოგადოება კიდევ მზათ არის თავის ერთ წევრისა-
თვის. რასაც იტყვის ერთი ყველა მას უჭირს მხარს.
რაკი ასეა, ჩვენი დაჩაგვრა ეხლა ისე ადვილი აღარ
არის, როგორც წინათ იყო. ერთი წკეპლის გატე-
ხა უფრო ადვილია, ვიდრე მთელი კონის. ასეა
ჩვენი საქმეც, სანამ დაცალკევებული ვიყავით, და
ერთი მეორეს მხარს არ ვუჭირდით ყველა ადვი-
ლათ გვჩაგრავდა და ეხლა კი აბა ნახონ. უმაღ-
ლესმა მთავრობამაც კი მოგვაქცია ყურადღება და
ანუარიშს გვიწევს. წინათ ის სრულიად ყურად-

ლებას არ გვაქცევდა, თითქო არც კი იცოდა ჩვენი არსებობა და ეხლა კი მეტი რა გზა აქ ჩვენი მოთხოვნილებანი სისრულეში უნდა მოიყვანოს ।

რასაკვირელია, სიცილიელ გლეხებს ეს ერთბაშათ, ერთ დღეს არ შეუგნიათ. წინეთ იქაც, როგორც ჩვენში, შუბლებლათ მისჩდათ ყველაფერი, ისე უყურებდენ თავის თავს, თითქო გლეხი გლეხათ გაჩენილა, ქვეყნის დასაბამიდან ასეთ გაჭივრებას ითმენს და უნდა ითმინოსო. მათ ვერ წარმოედგინათ. რომ მათი მდჯომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იყო. სიცილიელი გლეხები ისე უყურებდენ თავის თავს, როგორც ყოვლად ულონო, სუსტ არსებას, ასე ეგონათ მათი ხვედრი მოთმენა და ყველაფრის ატანა იყო. „დათვმა რომ მოგერიოს მამა დაუძხეო“, „მძლავრს ნუ ეჩხუბები, მდიდარს მიწამდე თაყვანი ეცი“ და სხვა ათასი ანდაზები დიდათ გავრცელებული იყო მათში ყველა ამის მიზეზი რასაკვირელია მათი შეუგნებლობა იყო. როგორც ხედავთ სიცილიელი გლეხებიც წინათ ისეთ საშიშარ მდგომარეობაში იყვენ როგორც ჩვენი გლეხობა, მარა როცა შეიგნეს, მათი ცხოვრება სულ სხვაფერ დატრიალდა.

ეხლა ვიკითოთ, როგორ მივიდენ იმ დასკვნა-მდე । იცილიელი გლეხები, რომ სასარგებლოთ დაინახეს კავშირების შედგენა. აი როგორ მოხდა ეს: ჯერ გლეხებმა დაიწყეს მოლაპარაკება როგორ მოე-

წყოთ სასოფლო საქმეები. ერთი, ოსაკვირველია, აქ
ვერას გააწყობდა. ერთს ომზ თავს ედვა საზოვალო
საქმე, სოფლის ჭამიები ცოცხლა: შესჭამდენ მას
ერთათ კი სულ სხვა იყო. სოფლის ჭამიებს მთელია
საზოგადოებამ გამოლცხადა ომი. ბევრ მათგანს დაუ-
მოკლეს ხელები, ბევრს ლატოვებინეს თფილი საბუ-
ლარი. მარა არც სოფლის ჭამიები იყვნენ ჩუმათ.
მსხვილი მოიჯარადე ხშირათ. ვარს ეუბნებოდა
გლეხს მიწაზე, ან იმდენ ფასს სთხოვდა, რომ შეუ-
ძლებელი იყო მისი გადახდა, სოფლის ჩარჩები აღარ
აძლევდენ საქონელს ნისიათ, 16 - დ:მ3. ლ
და უვარებისს საქონელს აძლევდენ და ზღაპ-
რულ ფასს იღებდენ შიგ. სოფლის წურ-
ბელა მევახშე უარს ეუბნებოდა ფულების სეს-
ხებაზე, ან და ერთი ორათ ახდევინებდა ნამთავნს.
გაუჭირდა გლეხებს, მარა ნათქვამია კარგი ისე არ
იქნება თუ ცუდი არ იქნაო, მათაც ასე ზოუვიდათ.
გლეხები ძალზე დააფიქრა ამ მდგომარეობამ და
ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ გადასწყვიტეს
სოფლის ჭამების დახმარებაზე სრულიად უარი
ეთქვათ, მოიჯარადრეს ზურგი აქციეს და საერთო
პირდაპირ მემამულიდან აიღეს მიწა, უფრო იაფათ
და შელავათიან პირობებით; მიწას საერთოთ დაუწ-
ყეს დამუშავება და მოსავალსაც თანასწორათ იყოფ-
დენ. იმის მაგიერ რომ სოფლის ჩარჩთან ეყიდათ
დამპალი საქონელი, რიგ-რიგობით დაიწყეს ჭალაქ-

ში სიარული და იქ ერთბაშათ ყიდვა სკვა და სხვა საქონლის ვისაც რა ესაჭიროებოდა; გაჭირების დროს ხელის გასამართავათ, დაარსეს შემნახველ— გამსესხებელი კასა ყველა ამან დიდი სარგებლობა მოუტანა გლეხებს. პირდაპირ მემამულიდან მიწის აღებით მათვის საჭირო აღარ დარჩა იმ ფულების გადახდა, რომელსაც იგინი შუამავალს აძლევდენ ზედმეტს, ქალაქში ერთბაშათ საქონლის ყიდვა იაფათ დაუჯდათ და საღი საქნელი იყო, ვიდრე სოფლის დუქანში, მევახშეზე ლაპარაკი მეტია. ერთი სიტყვით გლეხებს კიდევაც მაღლობა უნდა ეთქვათ სოფლის კამიებისთვის, რომ ასეთ გზაზე დააყენეს. ისინი ამას თავის დღეში არ მოელოდენ და არც უნდოდათ, რომ მომხდარიყო, გლეხებს კი ასწავლეს მათ დაუხმარებლათ იოლათ, წასვლა, და ერთი მეორის დახმარების გაწევა—მათივე ხელით გალესეს თავის დასაკლავი დანა.

გავიდა დრო და საქმე ძალიან კარგათ წავიდა. აპან იმედი მისცა გლეხებს. თან და თან იმდენი გაბედულობა გამოიჩინეს, რომ სინჯეს მემამულეების წინააღმდეგაც წასვლა. ამისთვის კი უფრო მჭიდრო კავშირი დარჩა საჭირო. მაგალითათ როცა გახურებული მუშაობაა; მემამულესთან რომ არ წავიდეს გლეხი სამუშაოთ, ძალიან ცუდათ წავა მისი საქმე. ასე მოხდება მაშინაც უკეთუ პირს შეთქვამენ და არვინ არ აიღებს მათგან მიწას. ასე ერთხელ და

ორჯელ რომ ჭკუა ასწავლონ მემამულეს ის ბოლოს ისე გახდება, რომ თქვენი მოწონებული. ამ გვარ საქმეების სისრულეში მოსაყვანათ საჭიროა რამდენიმე სოფლიდან გამოცდილმა და შეგნებულმა გლეხმა მოიყარონ ერთათ თავი, მოიღაპარა კონკრეტული ერთათ, კარგათ ასწონ დასწონონ საქმე და ბოლოს ერთ მტკიცე და ვარკვეულ გზას დაადგენ. სწორეთ ასე დაიწყო პირველი კავშირების შედგენა. ოვითეულ სოფელში შედგა ცალკე კავშირები. ყველა ამ ჭავშირების წარმომადგენლები დრო გამოშვებით იკრიბებოდენ ერთათ და იკვლევდენ იმ საშვალებას, რომლის წყალობითაც უზრუნველ უნდა ეყოთ ყველა კავშირების არსებობა და მტკიცე კავშირი ვაებათ ერთი მეორესთან.

მემამულებმა დაინახეს, რომ მათი საქმე ცუდათ იყო და მიმართეს თავიანთ ერთგულ დამქაშ მღვდლებს, რამე ღონე ელონათ და გლეხები ჭკუაზე მოეყვანათ. როგორც მოსალოდნელი იყო მღვდლები მაშინვე შეუდგენ თავიანთ საქმეს, დაიწყენ ეკლესიებში ქადაგება. ზოგი პირდაპირ კავშირების წინააღმდეგ ამხედრდა და თავის ქადაგებაში თავიდან ბოლომდის იმ აზრს ატარებდა, რომ ყოველივე კავშირები ღვთისა და კაცის წინააღმდეგიაო, მით უფრო გლეხებისათვის დიდათ მამნებელიაო. ზოგმა კიდევაც გადაამლაშა და წყევლა კრულვას უოვლიდა გლეხებს კავშირების შემოღებისთვის.

გლეხები დაფიქრდენ და მიმართეს მღვდლებს შემ-
დეგი კითხვით: კარგი, ვსოდათ, კავშირები მავნე-
ბელია და ლვთისა და კაცის საწინააღმდეგო, ვსოდათ
დავანებოთ თავი კავშირებს, რა უნდა ვქნათ სამა-
გიერო? თქვენც კარგათ იცით, ამხანაგებო, რა პასუხს
მიიღებდენ ამაზე გლეხები, იცით იმიტომ, რომ
თქვენ სულიერ მამებისაგან ხშირათ გსმენიათ ასეთი
სიტყვები: „მოთმინებითა თქვენითა მოიპავეთ!“ სული
თქვენიო?“ ცისკენ ხელები გაუშვირეს და უთხრეს:
აი იქ სასუფეველში მოგეცემათ ის, რაც აქ და-
გაკლდებათო, აქ ითმინეთ, აქ იტანჯეთ, აქ ყველას
მონა მორჩილი იყავით, აქ, ამ ქვეყნათ, სული რომ
ამოგხადონ ხმას ნუ ამოიღებთ და სამაგიეროთ სა-
სუფეველს დაიმკვიდრებთო. მოთმინება, მოთმინებათ
აი რა პასუხი მისცეს მღვდლებმა სიცილიელ გლე-
ხებს. ამ პასუხმა კიდევ უფრო დააფიქრა გლეხები.
კარგი დაგემართოს, თუ მართლა არის, სასუფეველში
შესვლა კარგი იყოს, მარა საკურველი ის არის
მღვდლები ჩვენ გვიქადაგებენ მოთმინებას და ყო-
ველივე გიჭივრების ატანას და თუ კი სასუფეველში
შესასვლელათ ეს ასე საჭიროა, რატომ თვითონ იგინი
ამ ქვეყნათ არაფრს არ იკლებენ და განცხრომით
სტანდარტებინ. თუ კი მღვდლებს არ აწყენთ ასეთი
ცხოვრებ გლეხებს რატომ უნდა აწყინოს. საიქან
ცხოვრება სულ სხვა საქმეა და სააქაოს რომ კა-
ცხა პატიოსნათ და კარგათ იცხოვროს არც ამას
უჭირს არაფერით ზოგიერთი გლეხები პირდაპირ

ამბობდენ: „მლვდლები იმიტომ გვპირდებიან საიქიოს ყველაფერ კარგს, რომ კარგათ იციან იქიდან არავინ მოსულა და არც ჩვენ შეგვიძინა წავიღეთ და გავი- გოთ ნამდვილი ამბავი და ამ იმედით ჩვენი მოტყუ- ება და უფრო ადვილათ ტყავის გაძრობა უნდათო. ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობიაო“.

ამ გვარ ქადაგებით, მლვდლებმა იმის მაგიერ, რომ მემამულების საქმე გაეკეთებინათ, თავიანთი საქმე წაიხლინეს, მათ დაჲკარგეს ყოველივე რწმენა გლეხებში. მართალია ზოგართები შეაშინეს, მარა ამით მაისუ არა გამოდნა რა. გლეხებმა პი- რი იბრუნეს და მლვდელებს ახლო აღარ იკარებდენ. აღარავინ უშვებდა სახლში და ეკ- კლესიაში სიარულსაც ძალიან უკლეს. რაკი დაი- ნახეს მემამულებმა, რომ მლვდლებმა ვერაფერი უშველეს მათ, მიმართეს მთავრობას, რომ რამე ლონე ელონა გლეხების ასალაგმავათ. გლეხებსაც არ ცინათ ამ დროს, ისინი შეუდგენ ერთგულათ კუშაობს, რომ თავიანთი წარმომადგენლები გაეყვა- ნათ პალატაში და მთავრობისთვის სასტიკი წინააღ- მდეგობა გაეწიათ, უკეთუ ის რაიმე ზომებს მიიღებ- და მათ წინააღმდეგ. ყველამ აშკარათ დაინახა, რომ საქმე ცუდათ დატრიალდა. 1

III

იმ დროს, როცა როსი დადიოდა სიცილიაში,

გლეხები იქ თავისუფლათ მოქმედებდენ, არავინ მათ ხელს არ უშლიდა. კავშირების მეთაურნი დადიოდენ მთელ კუნძულზე, უყრიდენ გლეხებს თავს, ახდენ-დენ კრებებს, უხსნიდენ ხალხს რა იყო მათი სილა-რიბის და მონაბის მიზეზი და როგორ შეიძლებოდა ყველა ამის თავის დახტევა. ხალხი დიდის ყურადღე-ბით უსმენდა მათ. კავშირთა წევრებიმატულობდენ, ისეთ სოფლებში, სადაც სულ არ იყო, ახალი კავში რები სდგებოდა.

უნდა გენახათ რა აღტაცებით ეგებებოდენ გლეხები და მუშები თავიანთ წინამძლოლებს. აუ წინამძლოლებში ერიენ ისეთები, რომლებსაც ხალხის საკეთილდღეოთ თავი გადადებული ჰქონდათ. მათ არ იცოდენ რა იყო დასვენება, ყოველ წუთს მზათ იყვნ კიდით კიდემდე მოევლოთ მთელი კუნძული და სადაც კი საჭირო იყო დახმარება გაეწიათ ხსლხი-სვის, სიტყვით თუ საქმით.

როსი დიდხანს დადიოდა კუნძულზე ერთ ამ წინამძლოლთაგანთან ერთათ, რომელსაც სახელათ ბოსკო ერქვა. ბოსკო ახალგაზდა კაცი იყო, ღარიბი დედმამის შვილი და უმთავრეს ქალაქ პალერმოს ერთ დიდ სავაჭრო სახლში მსახურებდა კანტორაში. ის განათლებული და შეგნებული ყმაწვილი იყო. ის კარგათ ოცნობდა ხალხის გაჭირებას და დღე მუდამ იმაზე ფიქრობდა როგორმე ეშველა ხალხი-სათვის. კითხულობდა სხვა და სხვა წიგნებს და იქ

პოულობდა პასუხს საინტერესო კითხვებზე. ბოლოს ის დარწმუნდა რომ ხალხის გაჭივრება მანამ არ მოისპობა, სანამ ყველა ცალ-ცალკე იქნება და ყველას თავისი კერძო საქმე ექნება და საზოგადო საქმეს ნაკლები ყურადღება ექნება მიქცეულიო. ის საბოლოოთ დარწმუნდა, რომ ხალხისათვის აუცილებლათ საჭიროა ერთ თ, ერთ დიდ საზოგადოებათ ცხოვრება; თვითეული წევრი ისე უნდა იყოს დამოკიდებული ერთმნერთან რომ ერთის გაჭივრება მთელი საზოგადოებითვის საგრძნობელი იყოს. ყველაფერი, მიწა-ზაოდ-ფაჩრიკები და სხვა სიერთო უნდა იყოს. ყველა თანაბრათ უნდა ეწეოდეს შრომას და შრომის დაგვარათ შრომის ნაყოფი უნდა მიიღოს. ყველას შეთანხმებით უნდა ირჩეოდეს შესაფერი კაცები სხვა და სხვა საქმეების გამგეებათ, რომლებსაც ეხლა სხვა და სხვა მთავრობა განაცემს. მაგ.. რკინის გზის, ცქიმების, წესიერებას და სხვა. ერთი სიტყვით „მთავრობის“ მაგიერ სულ ხალხისგან არჩეული კაცები უნდა იყვეს, რომლებიც პასუხის მგებელი იქნებიან მთელი ხალხის წინაშეო და სხვა. ბოსკომბევრი იფიქრა სანამ ამ აზრს დაადგებოდა და ბოლოს გლეხებსა და მუშებსაც გაუზიარა თავისი აზრი. ის ურჩევდა მათ, შეედგინათ ამხანაგობა, მხარი დაიჭიროთ ერთმანეთისათვის და საერთო ბრძოლით გაეცმჯობესებიათ საზოგადო ცხოვრება.

ბოსკოს ჩქარა მომხრეებიც გამოუჩნდა. ესენი

ოუმტა დარიბი დედ მამას შვილები იყვენ, მარა სამაგიეროთ სწავლული და შეგნებული, მათ კარგათ იცოდენ რა ხდებოდა ქვეყანაზე და როგორ უკულმართათ იყო ცხოვრება მოწყობილი. ბევრი გამოჩნდენ ვექილები, მ: სწავლებლები და სხვა და სხვა კანტორის მოხელეები, რომლებიც თუმტა გლეხებზე უფრო კარგათ სცხოვრობდნ, მ: რა მაინც ითმენდენ გაჭივრებას.

აი ამ განათლებულ ხალხ-დან, ან როგორც ამბობენ **ინტელიგენციიდან** განივიღენ პირველათ კავ-შირების შემქნელი და სულის ჩამდგმელნი, მათში ზოგიერთები მდიდრების შვილებიც ერაენ. მავალითათ პოსკისთან ერთათ განივიჲა და ძლიერ ხელს უწყობდა კავშირების შექმნას, ერთი ძველი დიდებული გააშის შვილი ბარონი კოლნაგო. მან მეზკვილეობით აუარებელი მამულები მიიღო და სუსველა კავშირებს შესწირა. მეორე ადგილას ქალაქ კანიკატში, ახალგაზდა, მეზამულე გაეცან რავამ მოელი თვისი საცხოვრებელი ხალსს შესწირა. მეს. მე ადგილას დიდი დახმ. რება აღმოაჩინ, საჭმეს სენატორის შვილ მა ფრანცისკო პერეცა. ასეთი მაგალითები ბევრი იყო. ერთი მომრიცებელი პოსამართლე მუდამ უქადაგებდა გლეხებს, რასაკვირველია ჩუმათ, კავშირში ჩაწერილიყვენ, ერთმა მოხელემ, (ჩინოვნიკება) რომელსაც ერთ სახელმწიფო ჯაჭვსებულებაში დიდი ადგილი ეჭირა და კარგ

ჯამსგრის ღებულობრი, სამახურის თავი მიანება, რომ სულითა და ვულით კავშირების საქმისთვის მოყვიდა ხელი და მთავრობა. რასაკვირველია ძრიელი ჰელის უზლისა, ერთი სიტყვით თითქმის ყველა წოდებაში გაპოჩნდა კაცი, რომელსაც გულს უკლავდა ხალას გაპივრება და არ შეეძლო მოსვე. ხელით ეცხივრა, როცა მის გარშემო შიშილი და ტირილი იყო. ისინი ტოვე ღენ თავიანთ კუთილ ცხოვრებას და მიდიოდენ ხალხში, რომ მათთან ერთათ გამჭუთ მათი ჯიშირვება. მთ ხშირა უხდებოდათ სამუდამოთ გაშირებოდენ თავიანთ ნათესავებს და ძველ ნაცნობ-მეგობრებს, მათ ვერ წარმოედგინათ, როვორ შეიძლებოდა, რომ „კეთილშობილი კაცი“ გლეხებს მისხროს და მათთან ერთათ თავისიანების წინააღმდეგ არხედრებულიყო. ბევრის ლანძღვ-დენ ასეთ კაცებს, ბევრ ცილს სწამებდნენ მათ, ამით დენ ვითომ მათ. გლეხების ზოტულება და მათზე გაბრიტონება უჩიდაოო და სხვა ასეთი ხალხი წანა-თაც ბევრი იყო და ეხლაც უვრია. მათ ვერას მანაზეენოთი უერ დაბარუნები, რომ შეიძლება ისე ცახვარება გაუწიო სხვებს და მათ საქმისთვის თავი გადადო, თუ საკუთარი სარცელობა არა გაქ. ამის შიძები კი ის არის, რომ თვათოვ გარ ყვნილები არიან და მარტო თავისი უძირო ჯიბისა და კერძო ინტერესების გარდა არაფერი არსებობს მათვის ქვეყანზე. განა შეიძლება მათი დარწმუნება, რომ

სხვის საკეთილდღეოთ შეიძლება საკუთარი სარგებლობის დათმობა? თუ გინდ ხორციშესხმული ანგელოზი რომ აჩვენოთ მათ, იმაზედც კი იტყვიან, ეშმაკობს, თავს გვაჩვენებს ვითომ კეთილი სული იყოს, თორებ ნამდვილათ კერძო, თავის სარგებლობა უდევს გულშიო,

სამაგიეროთ გლეხებმა სულითა და გულით შეიცვარეს თავიანთი წინამდლოლნი და მზათ იყვენ თავი შეეწირათ დათვის. ჟველაზე მეტათ უყვარდათ ახალვაზდა ყაზარილი კაცი სახელათ დეუველიჩე. დეფელიჩე შესახლავათ ძალიან ლაპაზი აუკ, ისეთი მცექარე ხმა ქონდა, რომ როცა ის ლაპარაკს დაიწყებდა ისმენელნი თითქო სულის თქმას. ცაჲერებდენ. თვითეულ მის სიტყვას ისეთი განმავლობა ჰქონდა გლეხებზე, რომ გულის სიღრმეში სწვდებოდა უველას. ის ნამდვილი მოციქული იყო ხალხის. როდესაც როსი და ბოსკო შეხვდენ დეფელიჩეს და მასთან ერთათ განაგრძეს გზა, უოველ სოფელში სადაც კი ისინი მიდიოდენ ხალხი აღტაცებით ეგვეჯებოდა. როცა გაიგონებდენ, რომ დეფელიჩე მოდისო ხალხი მუსიკით და სიმღერით ეგებებოდა სოფელ გარეთ; ქალები და ზავშვერი ყვავილებს უანევდენ გზაზე, უველა ცოლობდა თავისი დაკოუილი ხელი მიეცა მისთვის.

ხალხი ძლიერ კმაყოფილი იყო თავიანთ წინამდლობების და უაზღვრო მადლობას სწირავდენ

მათ. როცა როსიმ უთხრა გლეხებს, რომ მემულეება
ასეთ საზიზლარ ხმებს ავრცელებენ თქვენ წინამ-
ძლვრებზეო, გლეხებმა გაცხარებათ უპასუხეს: თუ
გინდ ღმერთს რომ ანგელოზი გამოეგზავნა კიდან
ჩვენთვის, იმდენ სამსახურს ვერ გაგვიწევდა, რამ-
დენიც ბისკომ და დეფელიჩემ გაგვიწიაო. ჩვენ
კარგათ ვიცით, რომ მაგათ თავითანთი თავი დაუ-
ვიწყნიათ და სავსებით ჩვენ საზოგადო საქმეს ან-
დომებენ მთელ თავიანთ სიცოცხლეებს. ჩვენ მაგათ
აგვიხილეს თვალები. ჩვენს გარშემო უკუნეთი სიბ-
ნელე იყო და მაგათ მოსვლამ ჩვენში სინათლის
შუქი შემოიტანა და ჩვენი დაობებული ცხოვრება
ძირიანათ შეანძრია. ჩვენი მხსნელნი, ჩვენი გაჭირ-
ვების ტალოკესი ესენი არიან!!

ერთხელ ერთი წინამძლოლი სახელით ანდრო
კოსტა მოულოდნელათ ერთ დიდ სოფელში მივი-
და, მაშინვე გაიქცენ რკინის გზის სადგურზე,
ზოგიერთმა ის ნახევარი საით გააჩერეს სადგურზე
და ამ ხნის განმავლობაში სოფლის თავში ხელათ
გამართეს პატარა ხიდები და ხიდზე ყვავილებით
შემკული ჭისკარი გააკეთეს. როცა ყველაფერი
მზათ იყო ანდრია კოსტა წამოიყვანეს ვაგზლიდან,
მუსიკით და სიმღერით, გაატარეს ხიდები და ისე
შევიდენ სოფელში. ასე დიდებულათ შეხვდენ
სოფლელები იმას ვინც მათი კეთილდღეობისათვის
იზრუნა.

მემამდლენი თავისას არ იშლიდეს და გაიძახოდენ, მეთაურებმა დააქციეს ქვეყანა, სულ დალუპეს მათი საქმე, გლეხებს არაფერი არ გაეგებათ და ისე მისდევენ მათ, როგორც ცხვრის ფარაო და სხვა. როსის ძალიან უწდოდა გაეკო რამდენათ ჩართალი რყო ეს ხმელი და ყოველივე შემთხვევით სარგებლობდა გაროეკითხა გლეხებისთვის ყველაფერი. ერთ ქალაქში კავშირის შენობაში როსიმ ნაა ერთი სამოცუა წლის შოთუცი გლეხი და ჰკითხა:

— აბა ერთი მოთხარი გეთაყვა რატომ აფეხენთ თქვენ კავშირებს? ჩის გამოელით მისგან ან რა გწადიათ?

— ჩვენ გვინდა პური და სამუშაო—უპასუხა მოხუცე—მოელი წვენი, მესი ღლეს კავშირებია. ჩვენი ბრძოლები იჩდენ ხ ჩს მარტო იმაზე ფიქროდენ ერთი მაგიტრ თრი ტყავი როგორ გაეძროთ. ბოლოს ჩვენ გადავწყვიტეთ ჩევერთებულიყავით, რომ როგორმე გაგვეუშიჯობესებია ჩვენი ცხოვრება; გვეყო რაც ვითჩენთ. ამდენ ხანს თუ ვითმენლით და რაღაცას ველოდით, ეხლა მაინც დავრწმუნდით, რომ მოთმანებით არაუერი გამოვა და ჩვენთვის არავინ არ იზრუნებს, თუ ჩემივე ჩვენ თავს არ უპატრონეთ. თუ ამდენ ხ ჩვენი ბატონება გვიწევდენ ანგარიშს თავიანთი წიგნებით, ეხლა ჩვენი კავშირები გაუწევენ მათ ანგარიშს.

— მთავრობამ, რომ ძალა დაგატანოთ და თქვენი

კავშირების დაშლა მოინდომოს რა უნდა ქნათ?,

— კავშირების დაშლა?! ჩვენი საქმე წვინდა საქმეა, სიძართლე ჩვენკენ არის და ცოცხლები არავის ნებას არ მივსცემთ ჩვენი გაფელვისას.

— ჯარი რომ მოგაცენო՞?

— მაშინ იცით რას ვთქვამთ, ყველანი ცრათ დავიხუცებით. ჩვენ გვიჩინენია ყველანი ცრათ დავიხიცოცოთ, ვაღრე ასეთ ძალურ ცხოვრ ბაში ჩავარდეთ კიდევ.

— ერთი ეს მითხარი გეთაყვა: რა გეუბნებიან მღვდლები კავშირების შესახევ?

— ერთხელ ჩვენმა მღვდლელმა ძალიან ცულზა მოიხსენია ჩემთან ჩვენი კავშირები სულ იმას ჩამიზინებდა. რომ მემამულებები წინააღმდეგ ნუ წინვალთო.

ასე ამბობდენ მოხუცი, ის მუხუცი რომ ლნიც ძალიან ეჭვის თვალით უყურებენ ყოველი ახალს.

ასეთივე კითხვა დააყენა როსი შეორც ადგილას კავშირის კრებაზე.

— მე გავიგონე, რომ კავშირის ყველა წაფრები თავის თავს სოციალიტს უწოდებენ. რას ნიშნავს ეს? უთხრა მან გლეხებს.

— ჩვენ იმიტომ ვუწოდებთ ასე ჩვენ თავს, რომ ჩვენ გვინდა მიწა და მეურნეობა საზოგადო იყოს. არ იყოს ღარიბი მშრომელი და მდიდარი

მუქთახორა; ყველას უნდა ჰქონდეს საჭმელი სას-
მელი, ერთი სიტყვით რაც კი ცხოვრა ბისთვის
საჭიროა.

— როგორ ცხოვრობთ თქვენ ეხლა!

— მე მოგიყვები თქვენ, როვორ ვცხოვრობთ—
დაიწყო ერთმა ხანში შესულმა გლეხმა—მე მყავს
ექვის შვილი. ერთი კვირაა გამხმარი პურის ქერქი
არ გვინახავს თვალით. რაღაც ბალახ-ბუ-
ლახი დაგვრჩენია და ამით ვიპურებთ სულს, რომ
შიმშილით ჯრ დავიხოცოთ.

— მე თითქმის ორმოცდა ათი წლის ვიქნები—
წამოიძახა ხალხიდან გამხდარმა, ძონებებში გახვეუ-
ლმა გლეხმა—და მთელ ჩემ სიცოცხლეში ერთი
ნაჭერი ხორცი არ მიჰყარებია ჩემ პირს, რა გემო-
სია ხორცი არ ვიცი.

— ზოგიერთი მემანულეები იმასაც ჯავრობენ
რატომ ვჭამთ ბალახ-ულახს, საჭონლისთვის მინ-
დაო.—დაუმატა მერე გლეხშა.

— კავშირის წევრებს ავაზაკებს გვიწოდებენ
ისინი—განაგრძო პირველმა გლეხმა—ჩვენ იქათ
საშინლათ ვეჯვარებით კავშირების გა?ო, რადგან
ჩვენი კაშირები კრიჭაში უდგა მათ. ზოგიერთი
ძემანულეები ჩვენ აღარ გვლეულობენ სამუშაოთ
და ისეთ ხოფლებრდან იქცრენ ხალხს, სადაც ჯერ
კვაშირები არ არის.

— თქვენ იმედი გაქვთ, რომ მომავალში მაინც

გაუმჯობესდება თქვენი ცხოვრება? ჰკითხა როსიმ.

— რასაკვირველია! თუ კი ნებით არაფერი გაკეთდა, მაშინ სხვა ღონის ვილონებთ. ასეთი ჯოჯოხეთური ცხოვრების ტანა მეტი დღის შევეძლია. მხოლოდ მკვდრებისაგან ვართ მოსვენებული და ტყავს არ გვაძრობენ, თორემ ცოცხლები გვპამენ. ისესხე მაგალითათ, ზამთარში ერთი ჩანეთი, შემოდგომაზე ორი უნდა გადაიხადო.

— ნუ თუ მემამულეები ასეთი ავაზაკები არიან?

— მართალია არიან პატიოსნებიც, მარა ძალიან ცოტა.

— თქვენზე მემამულეები ჩინიან, რომ ზაფხულში ბევრი თივა დაგვიწვესო. მართალია?

— ცოცხალი ტყუილია. ვიცით რა ოინებით ამბობენ ჩაგას. თვითონ სწვავენ რომ დაზღვევის ფულები ჩაიჩხიალონ ჯიბეში და ჩვენ კი გვაბრალებენ. მათ ძალიან უნდოდათ, რომ ჩვენ წინა-აღმდეგ ჯარი გამრევზავნათ, და აისრულეს კიდეც სურვილი. მორეკეს აუარებელი სალდათები, მარა ვერ მავართვით, ჩვენგან ვერაფერს გაიტანენ.

გლეხებს იმედი ჰქონდათ, რომ სალდათები თანაგრძნობას გაუწევდენ. უკანასკნელ დროს სალდა-თებში და აუიცრებში ბევრი იყვენ ისეთები, რომ-ლებიც გრძნობდენ გლეხების გაჭირვებას. ერთ აზგვარ აფიცერს შეხვდა როსი რკინის გზის ვგონში და ლაპარაკი ჩამოუგდო გლეხების შესახებ.

— დირი ხანი არ აჩის მას შემდეგ, რაც
ერთხელ მე და ჩემ სალიათებს ერთ სოფელში
მოგვიწია დგომა.—დაიწყო აჯიცერშა.

საშინელი სიცხე-პაპანაქე¹ ა დგა. მთელი დღე
სიძრულის გამო საშინლათ დალალ-ლი ციყაფით
და თან ვერაცრადა. მე მივედი ერთ კალოზე
წყლისთვის. სწორეთ ამ დროს მემამულე ანგარიშს
უსწორებდა ვლეხებს გლეხები პურს რწყავდენ. როცა
გაათავეს ჩემის თვალია დაივნახე, რომ ერთ გლეხს
სულ ათი ფუთი პური შეხვდა მთელი შრომის
ფასათ... უნდა გენისა საბრაულ გლეხი იმის დანახვა-
ზე ის ჯერ გაქვა: ვუტულ-რვათ იდგა და. გოუიერი
ხან თავის ხეე-დ პურს გადახეუადა და ხან თავის
ცოლს და ხუთ შერლის. ამ ათი ფუთი პურის ამარა
უნდა დარჩენილიყვენ მთელი წლის განპევლობაში
და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი წლით მშიე-
რი უნდა ყოფილიყვენ. ის კარგა ხანს იდგა ასე
გაქვაუებულივით და ხმას არ იღებდა, ბოლოს ორი
ობალი ცრემლი პოსტყდა თვალებისან და
ნელნელა ჩამოცოცდა მის გამხვარ ლოყე² ზე და
გაბურქვნილ წვერზე ჩამოუკრავდა... მთელ
ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ამ გლეხის
გუჯსაკლავი სახე! ეს კიდევ არაფერი, ისეთი გლე-
ხებიც ერიენ იქ, რომ თავიანთ წილის მავიერ მემა-
მულის გალიც კი დაედვათ და ერთი მარცვალი
პურუც არ მაულიათ მთელი წლის შრომაში.

სალღათების მისევა და ხალხის ხოცვა, ვითომ გლეხთა მოძრაობის ჩასატრონით ტყუილი იმედებია და ვერალდეს შიზანს ვერ მიახწევს, მთავრობა ამ გვარ მოქმედებით, წინააღმდეგ უფრო გააწვავებს, გლეხებს და დაარწმუნებს, რომ ჩათა სინა მხოლოდ მათ ერთობაშია! დაათავა თავისი აშშავი აფიცერმა.

გლეხებიც წორეთ ამას იმეორებდენ. „ამდენი სალღათების გამოგზავნის მაგიერ მთავრობას, რომ ხემამულებისაცის ძალა დაეტანება შეღათიან პირობებში მოეცათ ჩვენთვის ეწები, მაშინ ჩვენ დაურწმუნდებოდით, რომ მთავრობას მართლა ჩვენთვის კეთილი სურს და არავითარ არეულობას ჩვენში ადგილი აღარ ექნებოდა, და არც სალღათები იქნებოდა საჭირო. მარა თუ ძალათ ჩვენი განადგურება, ჩვენი მიწისთან გასწორება მოინდომეს, მაშინ ცუოდეთ რომ გულხელ დაკრეფილი არ გავჩერდებით და ჩვენც ჯაჩვენებთ ჩვენ ძალას. მომადურს დამხდური უნდა ხომ იცია? თუ ჩვენ პოგვესევიან ჩვენც მივესევთ და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს. ჩვენ კი ისე ვარა დარწმუნებული, საბოლოოთ უსათუოთ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, შეუხედავათ იმისა, რომ დღეს მთავრობის ხელში ჯარი და თოფ-ზარბაზანებია. ჩვენ აწი არავის იმედი არ გვაქვს. გარდა ჩვენი თავისა და კიდევაც ვიცით, როგორ ვუშველოთ ჩვენ თავს“..

როსი ჩქარა დარწმუნდა რომ ეს ცარიელი სიტყვები არ იყო და გლეხებს შაროლა შეეძლოთ თავიანთ ინტრესების დაცვა, ერთხელ როსი დაესწრო კრებას, სადაც გლეთხა კავშირების წარმომადგენელთ და მემკლებებს როლაპარაკება ჰქონდათ. გლეხები თხოულობდენ საიჯარო ფასის დაკლებას „ისეთ დროში ვართ, რომ როცა დაწევე” ით არ ვიცით დილით გვექნება რამე საჭმელი თუ არა. ყელამდე ვალებში ვართ, მუდამ მშივრები ვართ და ვთხოულობთ უსათუოთ უნდა დაგვიკლოთ საიჯარო ფასები“ ამბობედენ გლეხები. მემამულებები თავის მხრივ ამბობდენ, რომ პურის ფასმა ძალიან დაიწია მთავრობა ბევრ მიწის ბაზს უვახდიებს და ამიტომ დიდ ზარალში ვართო და ვარს ამბობდენ ფასის დაკლებაზე. ამ დროს წამოდგა ერთი კავშირის შეთაურთავანი, რომელიც შექმულე გამოდგა და დაუმტკიცა ყველას, რომ ის ძალიან შეღავათიან ფასებში აძლევს გლეხებს მიწებს, მარა მაინც სარგებლობა აქვს. მემამულებს მეტი რაღა გზა ჰქონდათ, როცა დაინახეს რომ გასამართლებელი საბუთები არაფერი ჰქონდათ დათანხმდენ ფასის დაკლებაზე. გარდა ამისა გლეხები თხოულობდენ საჯარო პირობები ახალი წესით ყოფილიყო შეკრული: „მემამულებს კავშირებთან უნდა ჰქონდეს საქმე და არა კერძო პირთან, რაღაც კერძო პირს შეუძლია შიშით ან სხვა რამე მიზეზით დათანხმდეს

მემამულის პირობებს და კავშირი კი მუდავ თავისას გაიტანსო“ მემამულეები აზაზეც დათანხმდენ. სამა- გიეროთ გლეხები შეპპირდენ თავის დროზე გადა- ეხადათ საიჯარო ქირა.

როცა კავშირების წარმომადგენლებმა გადას- ცეს გლეხებს თავიანთ მოლაპარაკების შესა- ხებ, გლეხების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. საუბეღუროთ ზოგან ცუდათ გათავდა საქმე და მემამულებმა საიჯარო ფასის დაკლებას და კავში- რებთან საქმის დაჭერას არჩიეს სულ უარი ეთქვათ მიწების მიცემაზე და თავიანთი მიწები ცარიელი დასტოვეს.

მეორე ადგილას რომი კავშირის კრებას დაეს- წრო. აქ ლაპარაკი იყო წისქვილის სამხანაგოთ აღებაზე. წინათ ადგილობრივი მეწისქვილე ტყავს აძრ ობდა გლეხებს, რადგან სხვა წისქვილზე წასვლა მოუხერხებელი იყო მათთვის. გლეხებმა გადასწყვიტეს საზოგადო ხარჯით აცლოთ იჯარით წისქვილი და მთელი შემოსავალი საზოვადოებისთვის მოეხმარათ.

დაბა კორლეონში ადგილობრივ კავშირის მეთაურმა შემდეგი უამბო როსის:

— ჩვენ კავშირში ექვსი ათასი ქალი და კაცი ითვლება წევრებათ, მარა მართლა რომ ვსოქვათ, თუმცა ჩაწერილი არ არიან, მარა ყველა სრულ წლოვანი ახალგაზდები მონაწილეობას იღებენ კავშირში. სუსკელა წევრები და არა წევრები ერთ-

გვარ მონაწილეობას იღებენ. მხოლოდ რამდენიმე შეიძლები დგანან განზე და კაცშირს ახლო არ ეკარებიან. ჩვენი კავშირი ერთი წელიწადია რაც ერსებობს და ვინც კი გასან ახლო დგას, ყველა ამ აშკარათ შეიგნო მისი სარგებლობა, უფრო მეტათ ქალებმა, რომლებიც თავიანთ შეილებს ძუძუსთან ერთათ კავშირების. სიყვარულს აწოვებენ, და პატირაობიდან უნტრგავენ გულში მათ სარგებლობას. მაშასადამე ჩვენი კავშირის წევრები ბავშვობიდანვე ეჩვევია. კავშირების სიყვარულს ჭრებებს ეხლავე დიდი სარგებლობა იქცო კავშირებიდან. ბევრ შემამულებეს ძლია დაატანეს და მიწები შეღათიან პირობებში დაგთმობინებს, რაც წინათ რას დროს არ მომხთარა ჩვენშა. ზოგიერთი შემამულები კი, რომლებიც დიდი გვარიშვილები და მდიდრები იყვნენ, დღესაც უარზე არიან და არას გრით არ უმობდენ გლეხებს თავიანთ მიწებს. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ზარბლი გვაჭესო და ნამდვრლათ მიზეზი კი მათი ზედმეტი თავმოყვარეობაა. ხომ თავი მოგვეუწია, როცა ხალხი გაიგებს, რომ ჩვენ, ასეთი უიდი კაცები, გლეხების კავშირებთან ვიჭერთ საქმესო, ფიქრობენ ისინი. იმდენათ სძლია მათ სულელურმა თავმოყვარეობამ, რომ გლეხების არ მისცეს მიწა და დაუმუშავებელი დასტოვეს. ეს დიდ ზარალს აძლევს მათ და ბოლოს უთუოთ იძულებული გახდებიან ისინიც დაგვმორ-

ჩილდენ.

— კარგი, მარა ეს გლეხებისთვის არა
ნაკლები საზარალოა, ვიდრე მექანულებისთვის—
უთხრა როსი—მემამულებს კიდევ შეუძლიათ
თავის შენახვა და აბა გლეხებში როგორ უნდა
იცხოვონ, როცა არც მიწა ექნება და არც
სამუშაო.

— ჩენ აზახე ვიუიქტეთ და საშუალებაც
გამოვნახეთ. ჩენ გადავწყვიტეთ საზოგადო თანხი-
ლან მავსცეთ დამარება ვლეხებს. ჩენ დიდი ხანია
დავაარსეთ საზოგადო კაა, საუც ეხლა ბლობთ
გვაძვს ფური და პური. რაც ჩენი კანიდან
დიახარჯება ჩენ მექანულებადან ვრჩებო. როცა
გაცხარებული მუშაობა ღა მემანულებს მუშა
ხელი სჭირია ჩენც არავის არ გავუშვებთ მათთან
სამუშაოთ თუ დღეში მანეთ ნახევარი არ მასცა
ქირა. ჩენ ასე ვართ მოლაპარაკებული და კიდეც
შევასრულებო ჟუ ერთშეანების ჩხარი დაუჭირეთ.
აპას წინათ მექანულებში დრო გვიშოვნეს და როცა
კავშირს პური გამოგველა; არც მოვვიდეს და არც
გვასერხეს პური. არც ვაციეთ აც ვაცხელთ
და საზოგადო პურის დუჭანი გავაღეო და მემანუ-
ლებზე უფრო იაფათ დავიწყეთ პურის გაყაღვა,
კავშირის. წევრები ტყუილთ არ ეძახინ ერთმანეთს
ძებუ;. ჩენ ისე ვცხოვობთ როგორც ნამდვილი
ძმები. როცა რამე უკმაყოფილება მოვვივა, ჩენ

არც მთავრობასთან მივდივართ საჩივლელათ და არც სასამართლოში. ჩვენგვყავს ჩვენი არჩეული კაცები და ყევლა ჩვენ საქმეებს ისინი განაგებენ.

ყველა ამაში ჩქარა დარწუნდა როსი. ერთ კვირა დღეს მან თავის თვალით ნახა რამდენიმე კაცი, რომლებიც დადიოდენ სამიკიტნოებში და სასალილოებში და წესიერებას თვალყურს ადევნებდენ. როგორც აღმოჩნდა ისინი კავშირის არჩეული კაცები იყვენ და დავალებული ჰქონდათ წესიერების დაცვა. როცა რომელიმე მათგანი შეამჩნევს, რომ ვინმე **ძმათაგანმა ზედმეტი დალია** ის მაშინვე მიღის ჩასაან და არიგებს შინ წავრდეს გამოიძინოს, რომ უსიამოვნება რამე არ მუხდეს ვინმესთან. თუ მან წინააღმდეგობა გაუწია და ამ გვარმა რჩევამ არ იმოქმედა მაზე, მაშინ წესიერების დამცველნი ეუბნებიან, რომ ის ასეთი ქცევით ჩირქს სცხებს კავშირს და ეს კი საკმარისია, რომ ენა მუცელში ჩაუგდოს მთვრალ გლეხს და გ. მოაფხიზლოს. ზოგიერთ კავშირებში თათქმის სამუდმოთ აღიკვეთეს გლეხებმა ყოველგვარი სასმელები.

ბევრი საინტერესო ამბები გაიგო კავშირების შესახებ როსიმ ბოსკოსაგანაც, როცა ერთათ მოგზაურობდენ.

— ჩვენი კავშირი ეხლა ისეთ მტკიცე საფუძველზეა, რომ ჩვენ აღარავითარი შეში აღარ გვაქ, რომ როდისმე მისი დაშლა შესძლებელი იქნება. ჩვენში

ეხლა საჩასი ათასი წევრი ირიცხება კავშირში და ყველას ხომ ვერ დაატუსალებენ. ოქვენ იტყვით რომ მეთაურებს დაიკერენთ, მარა ამით რა გამოვიდა, ჩვენ ეს კარგათ გათვალისწინებული გვაქ და კავშირი რომ უთაოთ არ დარჩეს, წინდაწინვე არჩეული გვყავს საიდუმლო წინამძღოლები. იმათ პოლიცია ერ იცნობს და ჩქარა ვერც იცნობს და თუ ჩვენ დაგვიკერენ ისინი განაგრძობენ ჩვენ საქმეს. არ იფიქროთ, რომ ასე ადვილი იყოს განადგურება, როგორც მათ ჰგონიათ.

— ვგონებ მთავრობამაქ განსაკუთრებული მოხელე გამოგზავნა — უთხრა რასიმ. — რაზე გამოგზავნა ან რა გააკეთა?

— ცხადია რაც უნდა გაეკეთებინა. მობრძანდა აქ, მოელაპარაკა ადგილობრივ მოხელეებს, სამხედრო მთავრობას და მემამულეებს გამოჰკითხა მგლებს როგორ ცხოვრობენ მათთან ცხვრები. მოხელე ხომ მოხელეა, ან კი რა უნდა გაეკეთებია სხვა. ჩვენმა გლეხებმა კარგი ხანია ყოველივე რწმენა და კარგეს მთავრობაზე. მათ კარგათ გაიგეს ვინ არის მათი მტერი და მოყვარე; დარწმუნდენ, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ მათი ერთგული ამხანაგები და არა მთავრობა. ის მთავრობა რომელიც მხოლოდ მარტო მდიდრების-თვის არსებობს და მათთან ერთათ ხრავს მშრომელ ხალხს. გლეხებისთვის მარტო ის არის საკმარისი

რომ ჩვენ კეთილი გვინდა მათოვის, რომ მთავრობა სასტიკათ გვიყვნას ჩვენ. ამა ქვეყნის ძლიერებს უნდოდათ, რომ ხალხი სიბნელეში ყოფილიყო. ეს ძალიან ხელსაყრელი იყო მათოვის, რამდენათაც ზნელ და განუვითარებელია ხალხი იმდენათ აღვილათ გააძრობენ ტყავს. ჩვენ მუდამ ჩავჩიტინებთ ხალხს, რომ ძალა მათშია, მხოლოდ საჭიროა უკუნეთ სიბნელის გაფანტვა და გამოფეხზლება. დიდი ხანა: ორ: გავა, რომ ხალხი ყველაფერს გაიგებს და მაშინ მოწოდება მრალი. ამას არც მთავრობა, მემამულები და არც სხვა, ხალხის მკამლები, არ მოელოდენ. თუმცა ეხლა მიხვდენ ყველაფერს და ყურები გამოიჩინება, მარა გვინდა არის, ხალხი იღვიძეს და მისი ისევ დაძინება არავითარ ძალას არ შეუძლია. ხალხას გამოლვიძებაში თვით მთავრობას და მემამულებსაც მუძღვით დკაწლი. ისინი თავი ნოი სასტრიკი ზომებით თანდათან იმ გზაზე აყენებენ გლეხობას, რომ უკიდურეს მდგომარეობა-ში ჩავარდნილი გლეხი თვალებს ახელს და უტკუ-არ საშვალეას პოულობს თავის და სახსნელათ. მათ გ მოფხიზლებაში სკოლებს, წევნებს და გაზეთებსაც დიდი შინიშვნელობა აქვს. გლეხობა სწორეგზას დაა-დგა და წინ მიდანი, ძველი მონოგრაფის დრო გაქრა და არასოდეს აღარ დაბრუნდება.

— თქვენ ბევრის სურვილი გაქვს-უთხრა რო-სიმ—და ამ სურვილის სისრულეში მოსაყვანათ სა-

ჭიროა რომ მშრომელმა ხალხმა კარგათ გაიგოს რაშიაც არის საქმე. ეს კი ჩეარა არ იქნება. თქვენ ეს მითხარით ჯერ—ჯერობით მიახწიეთ რამეს თუ არა? რამდენიმე გააუმჯობესეთ მაინც თქვენი ცხოვრება?

— მართალია მთელ ჩვენ მიზანს ჯერ—ჯერობით ვერ მივახწიეთ მარა ეხლავე ვცოლობთ, რამდენ, თაც შესაძლებელია შევუმსუბუქოთ გლეხებს დღევანდელი ცხოვრება. როგორც სხვაგან, ჩვენც გვაქვს საერთო კასა, ყველა ჩვენგანს შეაჭარს იქ წელიწადში ათ შაურამდე. ვინც ერთათ შეტანას ვერ მოახსრებს იმას ნაწილ ნაწილათ შეაქვს. როცა რომელიმე ერთ ჩვენგანს გაუჭირდება ჩვენ ყველანი როგორც ძმები ისე ვეხმარებით. ვთქვათ მაგალითათ ვინმე ჩვენგანს ძროხა ან ხარი მოუკვდა, ყველა ძმები აგროვებენ თითო შაურს და ამხანაგი ამ ფულებით ახალ საქონელს ყიდულობს. ასე ვიქცევით ჩვენ სხვა უძედურების დროსაც, ავათმყოფობის ან დაწვის დროს. გარდა ამისა ჩვენ გლეხები და მუშები ყველა საჭირო ნივთებს ერთბაშათ ვყიდულობთ და უფრო საღი და იაფათ გვიჯდება. ჩვენ ვაარსებთ აგრეთვე ამხანაგობებს, რომ მიწები იაფათ ავიღოთ. ვიღებთ დიდ ნაწილს და შემდეგ ვიყოფთ ერთმანეთში. როცა ასე მიწის დაყოფა მოუხერხებელია, მაშინ ყველანი ერთათ ვმუშაობთ და შემდეგ სამართლიანათ ვყოფთ მოსავალს. კავ-

შირი წერს მთელი წლით ექიმს, რომელსაც გადა-
კრილ ჯამავირს უნიშნავენ. ის ვალდებულია ყვე-
ლას უფასოთ გაღწიოს საექიმო დახმარება. წამალს
რომელიმე ერთ აფთიაქის პატრონთან ვყიდულობთ
და როცა კავშირს ააქვს მასთან საქმე ნაკლებ ფა-
სში გვაძლევს წამლებს. არის ისეთი კავშირებიც,
რომელებიც ვექილებსაც მთელი წლობით ურიგდე-
ბიან, გადაჭრილ ჯამაგირს აძლევნ და ამისათვის
ის ვალდებულია ყველას უფასოთ უწეროს თხოვნე-
ბი, საჩივრები და სხვა. ჩვენ ვაარსებთ სკოლებს
მოზრდილთათვის, საღაც ვინც უსწავლელია წერა-
კითხვას ასწავლიან და ვინც წერა—კითხვა იცის იმას
ყველა კანონებს და წესწყობილებას აცნობენ. რო-
გორც ჩვენი ისე სხვა ქვეყნებისას. ჩვენ ვცდილობთ
აგრეთვე რომ ჩვენი ძმები არ დაეხეტებოდენ სა-
მიკიტნოებში და ამისათვის კავშირები ზოგჯერ
ქირაობენ ცალკე სალხს, საღაც ჯველა ჩვენები
იყრიან თავს, რომ ილაპარაკონ იმღერონ და იმხიარუ-
ლონ. ამ გვარ სახლებში მუდამ ბლომათ გვაქვს
გაზეთები და წიგნები, გვაქვს სამკითხველოები და
ხან და ხან წარმოდგენებსაც ვმართავთ.

როსიმ ინახულა ბევრი ასეთი სახლები, ზო-
გიერთი რამდენიმე ოთახიდგან შესდგებოდა და ლა-
ზაზათ მორთული იყო. კედლებზე მრავალ აღგილას
წარწერები იყო და ეს წარწერები მხოლოდ მმო-
ბა—ერთობის მოსაგონებელი იქო ”გლეხებრესათვის“.

შესვალ კარებთან სხვა და სხვა ფართლეულობის ნიმუშები ეკიდა, აბრეშუმების, ხავერდის, ტილოს, მიტკალის და სხვა და ჟველას ბოლოს ფასები ეწერა და ნაჩვენები იყო ადგილი სად შეიძლებოდა ამ ფასში ყიდვა. როგორც აღმოჩნდა ფასებს თურმე კავშირი ამტკიცებდა. ბევრ ადგილას დუქან — მაღაზიების პატრონები კავშირის წევრები იყვნენ ან პირობით ეკურებოდენ კავშირებს აღნიშნულ ფასებში გაეციდათ საჭირელი. ნიხრს კავშირი ადგნდა და დუქნების პატრონები ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდენ.

ოთახებში გამოჩენილ ადგილას კავშირის დროშები ეკიდა ისეთივე წარწერებით, როგორც კედლებზე: ზოგან კედლებზე იმათი სურათები ეკიდა რომლებსაც მეტი ლვაწლი მოუძღვნდათ კავშირების ჯარსებაში. სტოლებზე გაზეთები და წიგნები ელაგა, სადაც აღნიშნული იყო კავშირების სარგებლობა და საზოგადოთ ის რაც მშრომელი ხალხის თვის იყო საჭირო.

როსიმ სკადა მემამულეებთან ჩამოედო ლაპარაკი კავშირების შესახებ, მარა ისინი ისე გაბრაზებულები იყვნენ, რომ ერთი სიტყვაც ვერ ეთქვათ ამის შესახებ. „ეს ნამდვილი ავაზაკების ბრძოა“ — სიბრაზით ამბობდენ მემამულები — ბრიუვი გლეხები ფიქრობენ, რომ მათ ეხლა ვერავინ ვერაფერს გაუბედავს, მარა იცოდენ რომ სულ ასე არ იქნება.

არა შეჯდა მწერი ხესაო. გლეხები უნდა გვიზედა-
ვდენ წინააღმდეგობის გაწევას? ნახვენ ვისთანაც
აქვთ საქმე და სხვა.

ეხლა მოგიყვები, ჩემო კეთილო მკითხველო,
იმის შესახებ თუ რა მოუვიდა იმ გლეხთა და მუ-
შათა კავშირებს, რომლებიც როსიმ ნახა და ასწერა.

რასაკვირველია კანონის ძალით კავშირებმა
დიდხანს სვერ იარსებეს, მარა ამ ხნის განჩავლობაში
მათი რიცხვი საშინლათ გამრავლდა, 1892 წელს
ინტელიგენციის და მუშა ხალხის კრებაზე ბოსკომ
პირველიათ უამბო მათ როგორ დაარსთა სიცილიაში
გლეხთა კავშირები. ბოსკომ სთქვა, რომ კავშირები
დღით დღე მატულობს და ისეთი სისწრაფით იზრდება,
რომ ჩქარა მთელი ხალხი მიემხრობა მათო. ეს
ამბავი ყველას ძალიან გაუკვირდა და არ სჯეროდათ.
გვიდა ერთი წელიწადი და კავშირების წევრები
60 ათასზე ავიდა და კიდევ ერთი წლის შემდეგ
კურო იმატა...

კავშირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონ-
და იმ გარემოებას, რომ პირველიათ მთავრობა
ყურადებას არ აქცევდა და ხელს არ უშლიდა. კავ-
შირის მეთაურებს აშკარათ შეეძლოთ სოფელ სო-
ფელ სიარული და სახალხოთ უხსნიდენ ყველას კავ-
შირების სარგებლობას. ზოგიერთმა კავშირებმა თა-
ვიანთი გაზეთიც კი გამოსცეს. უმთავრეს მათგანს სახე-
ლათ „საზოგადო სიმართლე“ ერქვა. ამ გაზეთში

სწერდენ ყველაფურს რაც გლეხების, და მუშების-
თვის იყო საჭირო, უხსნიდენ ყველაფერს გარკვეუ-
ლათ. აქ სწერდენ მხოლოდ ნადვილათ ხალხის კეთი-
ლის მყოფელნი, ისეთები, რომლებსაც ხალხის ინტე-
რესები ყველაზე მაღლა დაეყენებია. ამჯღავნებდენ
ყველაფერს, ყველა უსამართლობას და უწესოებას.
რომელსაც ხალხს აყენებდენ, გაზეთებს გარდა სცემ-
დენ სხვა და სხვა წიგნებს, რომლებშიც გლეხების
გაჭირება და ამ გაჭირებითაც დახსნის საშვალება
იყო აწერილი. ძალიან გავრცელებული იყო ხალ-
ხში მაგალითათ პოსკოს წიგნი „მუშა ხალხის კავ-
შირები“. აარსებდენ სამკითხველოებს და სკოლებს
სადაც ხალხს წერა კითხვას და ანგარიშს ასწავლიდენ.

როგორც ჩვენშია ეხლა, ისეთი დრო წინათ
იტალიაშიც იყო. როგორც ჩვენში, იქაც არავის
შეეძლო სკოლა ან სამკითხველო გაეხსნა ან რამე
კავშირი შეედგინა უკეთუ მთავრობისაგან ნებართვას
არ აიღებდა. ალკრძალული იყო თავისუფლათ ბეჭდვა
გაზეთების და წიგნების. ერთი სიტყვით ხალხი ყურ—
მოჭრილი მონა იყო და რაც მთავრობისთვის სასია-
მოვნო არ იყო იმას ვერვინ იზამდა ასეთი დრო
სხვა მრავალ ქვეყნებშიც იყო. ზოგან დიდი ხანია
გავიდა ეს და ზოგანც ეხლათან და თან გადის, მარა
როგორც გამოგიცთიათ თავისუფლების მოპოება
ხალხს ძალიან ძვირათ დაუჯდა. მარტო ჩვენში არ
მომხდარა ასეთი ამბავი. ყველგან თითქმის, სადაც კი

ეხლა თავისუფლებაა, ბრძოლი მოიპოვა ხალხმა ეს თავისუფლება და ამისთვის ბევრი უმანკო სისხლი დაღვარა.. იყო მართალია ზოგან, როგორც მაგალითათ იაპონიაში, რომ თვით მთავრობამ მისკა ხალხს ზოგიერო უფლებები, მარა ამისთანა მაგალითი ძვირია. მთავრობა მუდამ ცთილობდა მაგრათ სჭეროდა ხელში ხალხი და მისი მონა მორჩილი ყოფილიყო. რომ თავისუფლათ ეცხოვრა მისი სისხლი და ოფლით და როცა რაიმე ლტოლვილებას შეამჩნევდა თავისუფლებისაკენ სასტიკ ზომებს ხმარობდა, მარა შეუძლებელი ვერ შესძლო და ბოლოს ხალხმა მაინც თავისი გაიტანა.

ხშირათ მომხთარა ხოლმე, რომ მთავრობას მიუკია ხალხისთვის ა. ავისუფლება, მარა მერე დანანები და უკანვე წალება მოუნდონებია. ასე მოხდა სიცილიაშიც. მთავრობამ ყურადღება მიაქცია მემას მულეების ჩივილს. დაინახეს რომ კავშირებმა ძალა მოიკრიბეს და მათ კარგს არას უქადდენ და მათ ასალაგმავათ ძალას მიმართეს.

ერთ დაბაში გლეხებს ჰქონდათ საზოგადო სახნავი, სათოვე და საძოვარი. რაღაც მანქანებით ეს აღგილები მახლობელმა აზნაურებმა ჩაიგდეს ხელში. როცა ეს გლეხებმა გაიგეს შეიკრიბენ ერთათ და წყნარათ წავიდენ თავიანთ აღგილისკენ, არავითარი უწესოება არ მოუხდენიათ ისე გარეკეს აზნაურების ბიჭები და თავიანთი მიწა უკანვე დაიპრუნეს.

აზნაურებმა მთავრობას შესწიცლეს და მთავრობამაც
მაშინვე სალდათები გამოგზავნა. გლეხები უარზე
იდგენ და არ უნდოდათ მიწის დანებება. მაშინ ჯა-
რის უფროსმა დაუყონებლივ უბრძანა ჯარს ესრო-
ლეთო. ჯარმა უფროსის ბრძანება, ერთგულათ აას-
რულა, დაუშინეს თოფვები უიარალო, მშილობიან
ხალხს და ათი გლეხი მოკლეს. ეს ხმა ელვის სის-
წრაფით მოედო მთელ ქვეყანას. ხალხის წარმომად-
გენელთა პალატაში ერთმა გაბედულმა დეპუტატმა,
სახელათ კოლაინმა, საშინლათ გაპეტრება მთავრობა
ასეთ საზიზლარ მოქმედებისთვის და უწინასწარმე-
ტყველა, ომ უკეთუ მთავრობა ამგვარ გზას დაად-
გებ: ეს დიდ არეულობას გამოიწვევსო. მინისტრები
თავს იმართლებდენ და ამბობდენ, რომ ეს უკაბე-
დათ მოხდაო, მარა არ გასულა დიდი ხანი, რომ
ასეთივე ამბავი დაბა კასტელვეტრამოშიც მოხდა.

ასე გამოდიოდა თითქო მთავრობას განგეპ უნ-
და ხალხის გაბრაზებათ. რა უნდოდა ექნა ამით მთავ-
რობას? აი რა: რთავრობას უნდოდა. აეკრძალა ქავ-
შირები. ტყუილ უბრალოთ ამის სისრულეში მოყვა-
ნა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო რამე მიზეზი
რა აი მიზეზიც იშოვეს. დაატყვევეს ბევრი კავშირის
წინამძღვრები და სხვა და სხვა ცილი დასწრებეს.
ზოგს ამტყუნებდენ ვითომ გლეხებში არეულობას
ახდენსო და ზოგსაც ვითომ ავაზაკთა ბრძოს შეთაუ-
რიაო, მარა როცა სასამართლოში გაირჩა საქმე ამით

არაფერი გამოდნა. ზოგი გაამართლეს და ზოგსაც
მცირე სასჯელი მისცეს. ერთ ადგილს ყოველივე
კანონს გარეშე დაიჭირეს მრავალი გლეხი, მხოლოდ
იმიტომ რომ თორმეტ სოფელს გადაეწყვიტა არ
ემუზავნათ მებატონეების ადგილზე უკეთუ ფასს არ
დაუკლებდენ. ზოგიერთ აღაილებს სხვა და სხვ მო-
საზოგადო პოლიციელები ურცხვათ შედიოდენ კავში-
რების შენობაში, ჩერეკლენ ყცელაფერს, პლეჯდენ
დროშებს და ამტერევდენ იქაჩრობას. ასეთმა ზომებმა
მარცვერ გასჭრა გლეხებზე. როცა მათ დაინახეს
რომორ ეჯავრებოდათ მთავრობას და მემამულეებს
მათი კავშირები, მათ უფრო მეტათ შეუყვარდათ
ისინი და მზათ იყვენ თავი გაეწირათ მათთვის. როცა
რომელიმე კავშირის წინამძღვალს ან წევრს დაიჭირ-
დენ, დარჩენი გლეხები დახმარებას უწევდენ რო-
გორც ჭარ ისე მათ ცოლ-შვილს; უკეთუ სასამარ-
თლო დამნაშავეს დააჯარიმე? და, ხელათ აგროვებ-
დენ ფულს და იხდიდენ.

1892 წელს ოქტომბეში ორ ადგილს ერთხმათ
იირჩიეს გლეხებმა დეფელიჩე თავიანთ წარმომადგე-
ნელათ პალატაში. ამ წლის ბოლოსვე იირჩიეს მთე-
ლი კუნძულისთვის უმთავრესი ანუ ცენტრალური
კომიტეტი. ამ ცენტრალური კომიტეტის წყალო-
ბით კველა კავშირებს ერთი მეორესთან დამოკიდე-
ბულება ჰქონდა. ამ კომიტეტში წევრებათ სახალხო
საქმისთვის ნამდვილი თავდადებული პირები იყვენ.

1893 წელს სექტემბერში ყველა კავშირების წარმომადგენელთა კრები მოხდა. ერთ ადვილას შეიკრიბენ მაღნებში მომუშავე მუშების კავშირების წარწამომადგენელნი და მეორე ადგილას ვაკებების, მოიჯარადრების და მოჯამაცირებების კავშირის წარმომადგენელნი. ამ კრებებზე ყველამ ცრთხვათ დაადგინა, რომ ერთი მეორისთვის მხარი დაუჭირათ, ყველანი შეკრთხებულიყვენ მთელ კუნძულზე, როგორც ერთი კაცი და თავგამოდებით დაეცაათ თავიანთი ინტერესები.

საქცედუროთ ერთმა შემოხვევაში მთავრობას ძალიან შეუწყო ხელი თავის აზრების განხორციელებაში. 1893 წელს მთელ სიცილიაში მოუსავლობის უამო შიმშილობა დაიწყო. მთავარი ამის მაგიერ, რომ დახმარებოდა დამშეული, დრო იშოვნა და ძალა ღაატანა სახელმწიფო გადასახადზე. ხალხმა მოთმინება დაპყრია. დეკემბერში მრავალ ადგილას შეიკრიბა ხალხი კა ყველგან „ძირს ვადასახადიო“ გაჰყვიროდენ. სიცალიის ყველა ქალქებში, ქალაქის განაპირა, სადაც გზა ჩადის, ყველგან ხარჯის ამკრეფთა სახლებია, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ, რომ სოფლიდან უბაჟოთ ჩამე სანოვაგე არ ჩაიტანონ. გაბრაზებულმა ხალხმა მრავალ ადვილას გადასწვა ასეთი სახლები.

მეთაურები თავ გამოდებით ცდილობდენ, რომ შეეჩერებინათ როგორმე აღელვებული ხალხი. მეტ

ეშინოდათ, რომ მათი ახალ დაწყებული საქმე არ ჩაშლილიყო. რაღაც კავშირები ხალ დაარსებული იყო, ზოგიერთმა წევრებმა კარგათ არც კი იცოდენ როგორ უნდა შეეცვალათ სახელმწიფო წეს-წყობილება. გარდა ამისა მარტო სიცილიას რა უნდა ექნა ამით არაფერი არ გამოვიდოდა თუ კი დანარჩენი ნაწილებიც მხარს არ დაუჭერდენ.

ამ მოსაზრებით მეთაურნი მთელი თავისი ძალ-ლონით ცდილობდენ დაეშალათ ხალხისთვის სახ-ლების წვა. ვინც ცოტა შეგნებული იყო, დაუჯე-რა მათ და იმათ კი რომლებსაც არაფერი გაეგებო-დათ ყურიც არ ათხოვეს მეთაურებს და თავიანთ საქმეს განვრმდენ. უსწავლელ და გაუნათლებელ გლეხებს ასე ეგონათ, რომ ადგილობრივი მთავ-რობა გვავიწრობს, თორებ უმაღლესი მთავრობა და მასთან ერთათ მეტე მუდამ ჩვენი ერდგული და მწყლობელიაო. ისინი ვერ ხედავენ მთავრობის ხრიკებს. იმათ ეგონა, რომ პოლიციელების წი-ნააღმდეგ, რომ ავდგეთ არაფერიც არ იქნება, რაღაც თვით პოლიციელები მეფისა და მინისტრების წინააღმდეგ მიღიანო. ამ მოსაზრებით გონება დაპნეულ გლეხებს დროშების მაგიერ გამოქვნდათ მეფისა და დედოფლის სურათი და მიღიოდენ ხარ-ჯის ამკრეფთა სახლების დასანგრევათ. წათამამებულის გლეხები დაეცენ ხარჯის ამკრეფთა უმთავრეს გამგეო-ბის სახლს, რაც შიგ ნახეს ყველაფერი გაანადგუ-

რეს, ცველა საბურები დახიეს და სახლი დაანგრიეს. მთავრობასაც ეს უნდოდა. სიცილიაში ჯარი გაიგზავნა. სიცილიის ქალაქ პალერმოში ჯარს ქუჩაში, ძონძებში გახვეულნი, მშიერ—მწყურვალი, უიარალო მუშები შეხვდა. მოინდომეს ხალხის გაფანტვა, მარა ვერ შესძლეს. მაშინ რასაკვირველის თოფები იშიშვლეს და აფიცრის ბრძანებით უგუნურმა სალდათებწმ უიარალო ხალხს ტყვიები დაუშინა. პირველი რიგიდან რამდენიმე კაცი დაეცა მიწაზე. მათში ქალები და ლრმათ მოხუცებული კაცებიც ერიენ. ამ საზიზლარმა ამბავმა ხალხი უკიდურეს წერტილამდე მიიყვანა. მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. გაბოროტებული ხალხი ეცა და რჩაც კი შეიძლებოდა შეიარაღებულ სალდათებს ყოველ მხრიდან სეტკვასავით დაუშინეს, შეშის ნაჭრები, ქვები, ჯოხები და სხვა. ბევრჯერ, თოფ-რევოლვერებით და ხმლებით შეიარაღებული სალდათები ველარ უძლებდენ ხალხის იერიშს და უკან იწევდენ. საშიშარი სანახაობა იყო. ამ ამბავმა მთავრობას ძილი დაუფრთხო. მოხდა ფიცხელი განკარგულება და კუნძულზე თითქო მტრის ქვეყანაში, სამოცი ათასი სალდაში გაგზავნეს, ერთი გენერლის მეთაურობით, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭეს. გენერალს შეეძლო ყველაფერი ექნა რაც მის სულს და გულს სურდა. ის მთელი კუნძულის უფროსათ დაინიშნა და ადგილობრივი მთავრობა

მას უნდა დამორჩილებოდა. კუნძულზე ჩქარა ალყის შემორტყმის წესები გამოცხადდა; აღიკრძალა ქუჩაში თავის მოყრა და ლაპარაკი. ყოველ ქალაქში და დიდრონ სოფლებში სალდათები დადიოდენ საყარაულოთ. სალდათები გლოხებს ჩაუყენეს სახლებში. რა მდგომარეობაში ჩავარდებოდენ გლოხები თქვენზე კარგათ, ოოგორც გამოცდილებზე ჩემო მკითხველო, აბა ვიღას ეცოდინება. უგუნური სალდათები ყოველივე საზიორობას ჩადიოდენ, დაატუსალეს სამოცი ათას კაცამდე. მათი კავშირების ყველა მეთაურები მოყვენ. სოციალისტური გაზეთები ერთბაშათ დახურა. წიკნები თუ ვინმეს ჰქონდა ყველას ართშევდენ სადაც კავირები ან ამხანაგობები იყო ყველა მიანგრ-მოანგრიეს და წევრები დაატუსალეს. დატუსალებულები სამხედრო სამართალში მისცეს. ფეხ ჭკეშ გათელეს კანონი, უფლება და ზოგი ციხეში ჩაამწყვდიეს და ზოგიც კატორლაში გაგზავნეს.

უმთავრესი წინამძლოლნი დეფელიჩე და ბოსკო, მათი ამხანაგი ფერრო, ექიმი ბარბატო და ვექილი მონტალო განსაკუთრებით გაასამართლეს. მათ კარგათ იცოდენ თუ რა დღე როელოდათ. იცოდენ, რომ მათ მხოლოდ ფორმის გულისთვის ასაბართლებდენ თორემ სასჯელი წინ და წინ გადაწყვეტილი ჰქონდათ, და ამიტომ სრულებით არ ცდილობდენ თავის გამართლებას, მით უმეტეს ისეთ მოსამარ-

თლებთან, რომლებიც მხოლოდ მთავრობის და მემამულეთა ლაქიები გამხდარიყვენ. ყველა ეს კარგათ იცოდენ წინამდლოლებმა და ლაპარკობდენ სასამართლოში მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სიტყვები ხალხს გაეგონა ისე ლაპარაკობდენ თითქმ მათ კი აღარ ასამართლებდენ ისინი ასამართლებენსხედსო. მათ წარმოსთქვეს ყველაფერი რაც კი გულში ჰქონდათ, რასაც კი გრძნობდენ. მათ საშინლათ კაჟკურიცხეს მთავრობა, ხალხის უბედურებას, სიღატაკეს, ხალხის—ყოველივე უფლების ფეხქვეშ გათელავს, საზიზღარ მოქმედებას, ისინი პირდაპირ მთავრობას აბრალებდენ. ისინი არაფერს არ ჩალავდენ და აშკარათ ამბობდენ რა საშვალებისთვის უნდა მიემართათ მათ ამ უბედურობისაგან თავის დასახწევათ.

როგორც მოსალოდნელი იყო მეოთაურები სასტიკათ დასაჯეს. მათ გადაუწყვიტეს 12-დან 16წლა დი ციხეში ჯდომა. როგორც სამხედრო სასამართლოს თავჯაომარემ განაჩენი ხელში აიღო და უნდა წაეტიხა, ხელები აუკანკალდა, ხმა ჩაუწყდა დიდხანს ენა ვერ დაეძრა. ეტყობოდა რომ ბოლოს მასშიც გაიჩუჩენა აღამიანურმა გრძნობამ, მანც იგრძნო, რომ ასეთი სასტიკი სასჯედი ყოველ კანონის გარეშე იყო და სრულიად უდანაშაულო ხალხი უნდა დასჯილიყო. თუ კი სამხედრო კაცმა ეს იგრძნო, აშკარაა რას იგრძნობდა სიცილიელი გლეხები, ის გლეხები რომლებსაც მზე ამოსდიოდათ თავიანთ

წინამძღოლებზე. ამ საზარელმა განაჩენმა ისეთი გავლენა მოახდინა ხალხზე, რომ მათ ყურადღება არ მიაქციეს არც ალპის შემორტყმის წესებს, არც პოლიციას, არც არავითარ სასტიკ ზომებს, მოგროვდენ სასამართლოსთან და დაიწყეს ყვირილი, მთავრობა იძულებული გახთა სალდათები მოეყვანა ხალხის გასაფანტავათ.

მემამულებებმა, მდიდრებმა და მთავრობამ, თავსუფლა ათ ამოისუნთქეს. ასე ეგონათ თითქო სამუდაბრივ მოსპეს გლეხთა მოძრაობა. ყველა მცთაურები ციხეში ჩასვეს, ზოგიერთი გლეხები თავიანთ სოფლებიდგან განდევნეს, კავშირები დაანგრიეს, ყველგან სასტიკი წესები შემოიღეს და ყველა ამის შემდეგ არხეინათ მოსვენებას მისცეს თავი იმ იმედით, რომ ისევ ძველებურათ ვიბატონებთ, გაღატაკებულ ხალხს მონათ გავიხდით და მათი სისხლით და ოფლით განცხრომით ცხოვრებას მივეცემიო. მარა უმტკუნაა იმედმა, სასტიკმა ზომებმა გლეხებში ვერ ჩააქრო ის ცეცხლის ალი, რომელიც მათში დიდიხანია ენთო. ვერავითარმა ჯალათურმა ზომებმა ვერ იმოქმედა გლეხებზე. რაკი ერთხელ იგემეს თავისუფლება, მათი ისევ მონობის უღელში გაბმა აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო. მათ აღარ შეეძლოთ ძველებურათ მეზამულების წინ ქედის მოხრა. წავიდა ის დრო როცა მშიერი გლეხები ღმერთს მაღლობას სწირავდენ უკეთუ გამხმარ

პურს და წყალს იშოვნიდენ. ხალხმა გაიგოთავისი ძალა, მიხვდა, რომ ის პირუტყვი არ არის, რომ ყოველივე დამცირება და შიმშილ წყურფილი იტანოს; გლეხებმა გაიგო რომ ის ისეთივე კაცია, როგორც სხვა, თუმცა ეს სხვა სხვისი ოფლით გამდიღებულა. მთავრობამ და მებატონებმა ჩქარა გაიგეს რომ იმედი გაუცვრუვდათ. მიუხედვებათ იმისა, რომ დეფელიჩ და ბოსკო დატუსალებული იყვენ, ხალხი ქალაქებში და სოფლებში ერთხმათ იქჩევდა მათ პატიოსან მოქალაქეთ სოფლების, ქალაქების სამართველოებში და პალატის დეპუტატებათ. იტალიის მთავრობის სასამართლოს განაჩენის შემდეგ ხალხმა თავისა, განაჩენი გამოიტანა. ხალხური სასამართლოს განაჩენი!?!..

სიკილიის გლეხებმა და წუშები დადი შეცთომა დაუშვეს. ისინი დაბარცხდენ, მარა ეს დროებით დამარცხება მათ შემდეგისთვის გაკვეთილათ გამოიყენეს. ამ გარემოებამ მათ თვალები ჟღებილა და აშკარათ დანახსა რატომ დამარცხდენ ისინი და თავის მიზნები ვერ მახსწიეს. რა იჯო მაზეზი მათი დამარცხებას? ისინი ძრიელ აჩქარდენ, დაუფიქრებლათ, მოუმხადებლათ ერთბაშათ იტრიში მიიტანეს მთავრობაზე და ის კი არ უფიქრიათ თუ რამდენათ ძლიერი იყო ის. მათ დაივიწყეს რომ ყველა მამულეები, მღვდლები, სოფლის წურბელი ძიღიდრები, ვაჭრები ფაბრიკანტები და ყველა მოხელეები,

ერთი ერთშიანეთზე მაგრათ იყვენ გადახლართული
და ერთ ავაზაკთა ბრძოს შეადგენდენ. მათ დაივი-
წყეს რომ ამ ძლიერ ბრძოსთან ჰქონდათ მათ საქ-
მც. დ.ივიწყეს ისრუ რომ ამ რბოს ძლიერი ყურა
ბოჭრილი მონა, ჯარი ჰყავდათ ხელში. მართალია
ჯერი იშავ გლეხებიდან და მაუშებიდან სდგება, ჩარა
მაგარი ის არც რომ **ხალხი** შეუჯნებელია და ვერ
აჩჩევს ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე. სიცილი-
ელ გლეხების დამარცხება იმან გამოიწვია, რომ ისი-
ნი აჩქარდენ, არ გაითვალისწინეს რა სდებოდა მა-
რი ქვეყნის სხვა მარეებზე და ბრძოლა გამოუცხა-
დეს თავის მტრებს. იმ დროს როცა **იტალიის** და-
ნააჩენ ადგილებში გლეხობას ეძინა და სრულიად
შეუჯნებელი იყო, სიცილიელია გლეხებში აღმართეს
თავისუფლების დროშა და შედგარი იცრიში მიიტანეს
მურებზე და თუ დროებით დაწსრუხდენ რმ მიზეზე-
ბით, რომ შეუჯნებელმა გლეხობამ მჩარი ვერ და-
უჭირა.

მიუხედავათ დაწარცხევისა, გლეხთა მოძრაობამ
ძლიერ დააფიქრა მთავრობა და იძულებული გახდა
ის, სხვა ხერხისთვის მიღმართა. რაკი ძალაშ ვერ
გასჭრა ხრიკებს მომართა და გლეხებს ქონი მოუსვა
თავზე; „დამშეიდით დაწყნარდით ჩვენ მუდამ თქვენ-
თვის ვზრუნავთ, დაგვაცადეთ და ყველაფერ შვე-
ლის მოგცემთო“ გაისმა მთავრობის გესლიანი
ხია. ის პირველათ შეუდგა იჯარის პირობების

ძლიერ დააფიქრა მთავრობა და იძულებული გახდა ის სხვა ხერხისთვის მიემართა. რა კი ძალაში ვერ გასჭრა ხრიკებს მიმართა და გლეხებს ქონი მოუსვა თვზე; „დამშვიდ ით, ჩვენ მუდამ თქვენთვის ვზრუნავთ, დაგვიცადეთ და ყველაფერ შეღავათს მოგცემთო“ გაისმა მთავრობის გესლიანი ხმა. ის პირველათ შეუდგა იჯარის პირობებს ახალკანონების შემუშავბას, მას გვონა; რომ ეს პარველი ნაპიჯი საკმარისი იქნებოდა, დაეჯერებია გლეხები, რომ მთავრობა მართლა ზუნავდა მათ თვის.

ორი წლის წინათ ერთხელ კიდევ ამხედრდა მუშა ხალხი იტალიაში, ამ ბრძოლაში მხოლოდ ქარხნის მუშებმა და ქალაქის ლარიბმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. ეს მოხდა ქალაქ რილანში. როგორც წინათ ეხლაც სოციალისტები ცდილობდნენ შეემაგრებიათ ხალხი, არწმუნებდნენ, რომ დრო არ იყო, საჭირო იყო მეტი ძალის მუკრება, მარა მათ არ დაიჯერეს. აღელვებული ხალხის შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. როგორც წინათ ეხლაც ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მთავრობის ერთგულმა ჯარზა შესაფერი გმირობა გამოიჩინა და ორი დღის განმავლობაში განუწყვეტელი სროლა იყო და უიარაღო ხალხის სისხლის ტბები იდგა ქუჩებში.

გავიდა დრო ხალხი განვითარდა, შეიგნო რა იყო მისთვის საჭირო და საჭმე სულ სხვა რიგათ

დოტერიალდა. ეხლა რაც დრო გადის მშრომალი
ძალი იტალიში მუშაბი და გლეხები ყოველივე
ს ჰვალეს ხმარობენ თავსა წარმომადგენელბი.
გაიყვანონ პალატაში. ეხლა იქ ყველა საზოგადო
და სახელმწიფო დაწესებულებაში მშრომელ ხალხს
ჰყავს თავისი მომხრე. ეხლა მათ ძალაუნებურათ
ყურადღებას აქცევენ და ანგარიშს უწევენ. დღე-
ვანდელი მთავრობა რძულებულია დათმობის გზას
დაადგეს. ჩქარა ხალხის წარმომადგენლები ისე გა-
მაგრდენ პალატაში და იმდენი ძალა მოიპოვეს
რომ ძალა დაატანეს სამინისტროს, რომელიც ხალ-
ხის სასარგებლოთ არაფერს აკეთებდა, გადამდგარი—
იყო. ახალ არჩევნების დროს ისინი შეუერთდენ
ყველა მათ, რომლებიც თავისუფლების და მუშათა
კლასის სასარგებლო კანონების მომხრე იყვენ. და-
დგა დრო როცა სიცილიელ გლეხებს თავისუფ-
ლათ შეეძლო კავშირების დაარსება. გახურდა მუ-
შაობა, ყველგან. გლეხებიდა მოიჯრ აღრები შეერ-
თდენ და დაარსეს კავშირები. იმის მაგირ, რომ
კერძოთ აელოთ მიწები მემამულეთაგან, მათ შეი-
მუშავეს ერთი საიჯარო ნიხრი და სამუშაო დღის
ქირა. არც ერთი გლეხი არ იღებდა მიწას მეტ
ფასში და ნაკლებში არ მუშაობდა, რაც ნიხრში
იყო აღნიშნული. მემამულეებს მეტი რა გზა ჰქონ-
დათ უნდა დათანხმებულიყვენ კავშირების წინადა-
დებაზე და არავინ დაეჭირავებიათ ისე უკეთუ ნიხრ-

ში აღნიშნულ ფასს არ მისცემდა. როცა ან მემა-
მულე ან რომელიმე გლეხი ულალატებდა კავში-
რებს და დაარღვევდა მის დადგენილებას ვაი მისი
პრალი, გლეხები უცხადებდენ მას „ბოიკოტს“. არავინ
მასთან არ მიღიოდა, არავინ არ ელაპარაკებოდა,
არავინ არავითარ გაჭირვების დროს ხელს არ
უმართავდა: ისე გაურბოდენ მას, როგორც ზარ
ჭირით შეცყრობილს, ის ცხოვრობდა ხალხში, მარა-
მის გარშემო თითქო ხალხი არ ცხოვრობდა, მას
არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, თითქო
მის არსებობას ვერ ამჩნევდენ; თუ გინდ სასიკვ-
დილო ავათ გამხდარიყო ვინმე მისას, თუ გინდა
წყალში ჩავარდნილიყო და მხოლოდ ხელის მიწოდე-
ბა ყოფილიყო საჭირო მის გადასარჩენათ, არავინ
ხელს არ გაანძრევდა, თითქო არაფერიაო. როცა
ასეთი ძალა არ სჭრიდა ისეთ დღეში აყენებ-
დენ, რომ შიმშილით სიკვდილი ელოდა. არავინ
მასთან სამუშაოს არ მიღიოდა. მიწები დაუმუშა-
ვებელი რჩებოდა და ბოლოს ასეთი მემამულე
იძულებული იყო მიეღო კავშირების პირობები.

არსებულმა კავშირებმა მაგალითი მისცეს იმ
გლეხებს სადაც ჯერ არ იყო კავშირები და მა-
თაც დაიწყეს დაარსება.

რამდენიმე წლის წინათ მანტუანის ოლქში
შეიკრიბენ 126 კავშირის წარმომადგენლები და
დაარსეს ამ ოლქის საზოგადო საგლეხო კავშირი.

პირველ დღესვე კავშირში ჩეილმეტი ათასი წევ-
რი აღმოჩნდა.

ასეთმა კავშირებმა სხვა მრავალ ადგილებსაც
მოკიდა ფეხი ბოლოს მთელი იტალიის გლეხო-
ბამ, მოიჯადრეებმა და მოჯამაგირეებმა მოინდომეს
ერთი საზოგადო ძლიერი კავშირს დაარსება, რომ
თავიანთა წარმომადგენლები გაეყვანათ პალატაში
და სხ. ქ. ბოლიონში 1901 წელს მოხდა სოფლის
ყველა კავშირების წარმომადგენელთა დიჭი კრე-
ბა, აღმოჩნდა, რომ მარტო იმ კავშირების წევრე-
ბათ, რომლებსაც წარმომადგენლები გამოგზანეს
ას ორმოცდა ათი ათასი მუშა ირიცხებოდა. ამ ამ-
ბავმა დიდათ იმოქმედა გლეხებზე. მათ იმედი გაუ-
ლვივდათ გულში. ასეც უნდა მიმხდარიყო. მართა-
ლია ბევრია ისეთი ჯლეხი, რომელიც აშკარათ გრ-
ძნობს თავის გაჭირვებულ მდგომარეობას, ხედავს თა-
ვის სიღატაკეს, გრძნობს რომ შეიძლება ამ უბედურო-
ბის თავის დახმარევა, მარა ხმა ვერ ამოულია, რად-
გან ერთია და ერთმა ორ უნდა გააწყოს. გლეხების
წარმომადგენელთა კრებამ კი აშკარათ დაანახა
ყველას, რომ ისინი მარტონი არ არიან, რომ იტა-
ლიის ყოველ კუთხეში გლეხებმა წამოყვეს თავი,
წელში გაიმართენ და პირდაპირ თვალებში შეხე-
დეს ცხოვრებას; შეიგნეს რომ დროა მათაც ადა-
მიანურათ იცხოვრონ. შეიკრიბენ გლეხები და გა-
მოჰკითხეს ერთი მეორეს ვინ როგორ იბრძოდა,

რა საშვალებას. ხმარობდა, რომელი საშვალება უფრო გამოსადევგი დარჩა და რომელი არა. ერთის მაგალითი მეორემ გამოიყენა სამერმისოთ, მეორეს მესამემ და ასე ამ გვარათ კრების გათავების შემდეგ გლეხები გამხნევებული წავიდენ თავთავიანთ ადგილას და მთელ იტალიას მოჰქონდეს ამბავი იმაზე, თუ როგორ წინ იწევდა გლეხთა საქმე.

კრების გათავებამდე გლეხების წარმომაღვენლებმა გადასწყვიტეს დაეარსებიათ მთელი იტალიისთვის ერთი მიწის მუშათა კავშირი, რომლის შემწეობით იმათ დამოკიდებულება ექნებოდათ ცველა კავშირებთან, ექნებოდათ თავიანთი გაზეთი და ამგვარათ მთელი იტალიის სოფლის მუშა მჭიდროთ შეკავშირებული იქნებოდა.

წავიდენ თავთავიანთ ადგილას წარმომაღვენლები და დაიმედებულნი მეტის სიმხნით და ენერგიით შეუდგენ საქმეს. კავშირების საქმე ძალიან სწრაფათ წავიდა წინ. მაგალათათ პავლიანის ოლქში 1901 წელს ოკტომბერში სულ ოცდა ათი კავშირი იყო ორი ათასი წევრით, წლის ბოლოს კი კავშირების რიცხვი სამოცამდე ავიდა და წევრებმა რვა ათასს გადაამეტა. გლეხების კავშირებს მჭიდრო და ძმური დამოკიდებულება აქვს ქალაქის მუშათა კავშირებთან. სოფლის მუშებმა კარგათ იციან, რომ როგორც მათ ისე ქალაქის მუშებს ერთი საერთო მიზანიაქვთ, ურომის განთავისუფლება. რო-

გორ უწყობენ ხელს ერთმანეთს ეს კავშირები, ამის შემდეგი მაგალითი გვიმტკიცებს: ამას წინათ ქალაქის მუშები გაიფიცენ. გაფიცვა იმდენხანს გაგრძელდა, რომ მუშებს ცუდი ღრო დაუდგათ, მოთმენა აღარ შეიძლებოდა, საჭმელი აღარ ჰქონდათ. რაც უნდა ყოფილიყო გაფიცვა უნდა გაგრძელებულიყო. რაზგან ხაზეინების საქმეც ბეწვზე ეკიდა, იმათი საქმეც ცუდათ იყო და შესაძლო იყო მათი დამარცხება, უკეთუ გაფიცვა კიდევ გაგრძელდებოდა რამდენიმე ხანს. გაიგეს თუ არა ეს მახლობელმა გლეხებმა ხელათ გადასწყვიტეს დახმარებოდენ თავიანთ ძმებ. მუშებს და დაეხსნათ გაჭირვებიდან. ხელათ დააგირავეს მიწები, დააგირავეს პური და აღებული ფული მუშებს გაუგზანეს, რითაც ხელი აღუწყვას. მათ გამარჯვებას. ასე მოხთა მრავალ ადგილას. გაფიცულ ქალაქის მუშებს გლეხები აწვდიდენ სანოვაგეს სოფლიდან და ხელს უწყობდენ გაფიცვის გაგრძელებაში. რასკვირველია არც ქალაქის მუშები არიან გულხელდაკრეფილი და რთაც კი შეუძლიათ მუდამ მზათ არიან დაეხმარონ თავიანთ ძმებ გლეხებს. ერთმაც და მეორემაც კარგათ იცის, რომ ქარხნის მუშა და მიწის მუშა გლეხი ორი მაშრომელი ძმაა და მთი ვალია ძმურათ იცხოვრონ და ჭირი და ლხინი შუაზე გაიყონ.

შეიძლება ბევრმა წელმა განვლოს სანამ სი-

ცილიელი გლეხი მიაღწევს თავის მიზანს, თავისუფლათ ამოისუნთქავს და იტყვის მეც ვცხოვრობო. შეიძლება იმ გმირებმა, რომლებმაც პირველათ დაიწყეს ბრძოლა ვერც კი ელირსონ ამ დროს, მარა თუ ისინი არა მათი შვილები და შვილის შვილები მაინც ელირსებიან. ისინი მაინც მიახწევენ ამ დროს, ისანი მაინც იგემებენ თავისუფალ, დამი ნურ ცხოვრებას, თავისუფლათ ამოისუნთქვენ და მათ გულში სამარადისოთ ალიბეჭდება იმ გმირთა საპელი, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს საზოგადო საქმისთვის და მთელ კაცობრიობას ბეღნიერება მოუპოვეს.